645
1961/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა ქალი

№ 3 მარტი 1961 წ



თამარ შაორშაძე—საჩხერის რაიონის სოფელ იტავაზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (ნარკვევი იხ. მე-8-9 გვ.).

ფოტო დ. იაკობაშვილის

# 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღე



დედობა

მხატვარი ლ. შენგელია.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი
№ 3 მარტი 1961 წ.

საბჭოთა ქალი

გამოცემის მეხუთე წელი

8516

ვახტანგ გორგანელი

# დასაბამიდან...

## დ ა ს ა ბ ა მ ი დ ა ნ

დასაბამიდან სიყვარულის ლეგენდად დადის,
გაჩენის დღიდან გახდა იგი დიდების ღირსი.
ამბობენ: ქვეყნად მამაკაცმა პირველი ვარდი
მიტომ ახარა, რომ მიერთვა პირველად მისთვის.

გახსოვს? ჭაბუკებს გვადარებდნენ გაჭრილებს ველად,
შუაღამისას ვბრუნდებოდით როცა ბინაზე,
ის ამოგვიდგა და ჩვენც გზები შევცვალეთ ხელად,
მოვალეობა ვიგრძნეთ დიდი ქვეყნის წინაშე.

უცებ სიჩქარე მოემატა ნამდვილად მუხლებს,
წუთი რა არის, ადრე მოსვლა სიცოცხლედ გვიღირს,
ჩვენ ვიბადებით ხელმეორედ, სახლთან რომ ვუხვევთ
და გავიგონებთ აივნიდან მერცხლების ღიღინს.

ვინ გვიდგას მხარში, ვინ მოგვყვება, ვინ გვიწევს უღელს,
ვინ უზრდის მამულს ლომ-არწივებს ციხე-ბურჯებად,
დილაადრიან ცისკრის სხივებს სარკმელს ვინ უღებს,
და ფანჯრის მინებს ვისი ეშხის ცეცხლი უჩნდება?

სახლში რომ არ ვართ, ვინ აძინებს ბუდეში გვრიტებს
და კიბეებზე ჩვენს ამოსვლას ურთოლვით ვინ ელის,
ქვეყნის დარდსაც და სიხარულსაც მკერდში ვინ იტევს,
ყინულებს ალღობს, ქვას ადუღებს იმისი ცრემლი.

ვინ მოგვიტანა «იავნანის» ეს ტკბილი ხმები,
ფერეიდანში ვინ ინახავს ჩვენს ქართულ ენას?
სადაც კი მისი მადლიანი ეხება ხელი,
მოდის და მოდის ყვავილების ახალი ფენა.

გახედე მინდვრებს, ყაყაჩოებს კვირტებს ვინ უშლის,
ზვინი გადააქვს მის ღონივრად მოქნეულ ფიწალს,
ის ჯერ პირველად პურის მარცვალს აღვივებს გულში
და მერე აყრის სასოებით მშობლიურ მიწას.

გახედე ქარხნებს, ვინ დახარის ქურას და დაზგებს,
ვისი მარჯვენა ქვეყნის საქმეს ედება ალად,
დღეს შრომობს, მაგრამ თუ დასჭირდა თავსაც კი დასდებს
და აიტაცებს ძირს დაცემულ ვაჟკაცის ალამს.

მაგრამ რას ვამბობ? მზეო, აკვნებს ნუ მოშორდები,
ჩვენი ოჯახი, ჩვენი მიწა ვერვინ შელახოს,
ო, მათი უბით მოტანილი წმინდა დროშები
ომის გრიგალში გახვეული აღარ გვენახოს!

მას მშვენიერი სახელი—მზია ერქვა, მაგრამ ყველა კლდექალას ეძახი-და. ეს სახელი შეარქვა სოფელმა ერთ ციცქნა გოგოს, რომლის სახეზე მარწყვი ღვივოდა და რომლის თვალებშიც იისფერი ნაქური იდგა.

ციცქნა იყო, მაგრამ მთელ სოფელს უყვარდა.

— აი, კლდექალასთანა გამზრდოდეო,—დალოცავდა დედა შვილს სოფელში.

— კლდექალამ ასე თქვა და ასეც იქნებაო,—იტყოდნენ მეორენი.

— ერთი კლდექალასათვის მაკოცნინა და სიცოცხლეს დავთმობო,—ნატრობდნენ ბიჭები, მაგრამ ამის გამბედავი ჯერ სოფელში არავინ ჩანდა.

... იმ დღეს დიდი ალიაქოთი იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთახში: მეშვიდე ბრიგადაში, სადაც ყველა ახალგაზრდა და ჯანიანი ბიჭი იყო, საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა. როცა მაჩვენებლები შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ მეშვიდე ბრიგადა ყველას ჩამორჩენოდა... კლდექალას ბრიგადა—ყველაზე წინ იყო.

დიდხანს ითათბირეს თავკაცებმა, გადაწყვიტეს ბრიგადირის გამოცვლა, მაგრამ ახლის პოვნა გაჭირდა.

გამოსავალი პარტორგანიზაციის მდივანმა მონახა:

— რას იტყვით, მეხუთე ბრიგადის თავი რომ გადმოვიყვანოთ მეშვიდეში?

— რას ამბობ, კაცო! არც მეშვიდეს ეშველება და მეხუთეც დაგვეკარგება. მაგისთანა ბრიგადა მთელს კოლმეურნეობაში არ არის,—შეიჭმუხნა თავმჯდომარე.

— ჰო და, ამიტომაც...

— ესეც არ იყოს, მეხუთე ბრიგადაში თითქმის სულ ქალებია და ბრიგადირად იქ ქალსაც არა უჭირს რა. მეშვიდეში კი ერთი ქალიც არ ურევია. ბრიგადა ხან მთაშია და ხან ტყეში, ხან შორეულ ფართობებზე და ხან იალაღზე! აბა, ქალი რას გაუძლებს?

— ჰმ, არ გცნობია შენ მზია... დაგავიწყდა განა კლდექალას რომ ეძახიან?

— კლდექალაა, მაგრამ მაინც ქალია, გაუჭირდება...

— გაიგე, კაცო, ქალის კაბა კი აცვია, მაგრამ ათ ვაჟკაცს სჯობია... აბა, რომელ ჩვენებურს მოუკლავს ჯერ ფოცხვერი? განა არ მოკლა ამ ციცქნა გოგომ?

— მოკლა!

— ამ ზამთარს მგლები არ დაიფრინა?

— დაიფრინა!

— თოფ-იარაღსაც თითისტარივით ხმარობს!

— ვიცი...

— ჰო და, ასეთი ქალი კაცებით გინდა შეაშინო?

— შენ იცი... რაკი ასეა, ვსინჯოთ, მაგრამ თვითონ დაგვეთანხმება?

— ეგ მე ვიცი... აბა, აქ უხმეთ!

კლდექალა შემოიყვანეს. აუხსნეს საქმის ვითარება. მან იისფერი ნაქური ქუთუთოებში ჩამალა, ჩაიღიმილა:

— დამცინით?

— აბა, რას ამბობ?—სიტყვა შეაგება პარტორგანიზაციის მდივანმა.

— მაშ, რას მთავაზობთ? იმოდენა ბრიგადაში, იმ ახმახ ბიჭებში ერთი კაციც არ მოიძებნება?

— მოიძებნება, მაგრამ შენ უკვე მოძებნილი ხარ. ახლა ყოველი საათი ჩვენთვის ძვირფასია, საძებარს ვერ გამოვუდგებით. ე, პური ავილოთ და სხვაზე მერე ვითათბიროთ. შენს შემცვლელად, მგონი, პირველი რგოლის თავი გამოდგეს, ა?

— გამოდგება!—დაადასტურა თავმჯდომარემ.

— გამოდგებაო,—თქვეს სხვებმაც.

რაღა გზა ჰქონდა—გამოდგებაო,—თქვა კლდექალამაც.

* * *

ვიდრე თავკაცები თათბირობდნენ, მეშვიდე ბრიგადის ბიჭები კაკლის ჩრდილში ოხუნჯობდნენ. ერთი მათგანი, კოლმეურნეობის მექანიკოსის შვილი თანდილა, რომელიც, აგერ, მეშვიდე წელია დაუსწრებლად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ყველაზე მეტად ოხუნჯობს, უწმაწურ ამბებს ყვება და თავისი სასიყვარულო „თავგადასავლებით“ ტრაბახობს. იგი ხშირადაა თბილისში და თავიც ქალაქელად მოაქვს, ახლაც ისეა მოკაზმული, თითქოს ამ დილით პაემანზეა გამოსული და არა პურის სამკელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადეჟდა ტარუღიშვილი

# კლდექალა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვარი ლ. შენგელია

— ის როგორ იყო?—ახსენებენ მას რომელიღაც ამბავს, გუშინ რომ მოუყვა ბიჭებს და სიცილით მუცლები ატკინა... ისიც თავიდან იწყებს, ბიჭები კვლავ ხარხარებენ და მწვანეზე გორაობენ.

— ქალი?—ამბობს იგი,—მოვინდომო და ვერაფერს მივაღწიო? აუ! ჯერ ისეთი ქალი არ დაბადებულა, ტკბილი სიტყვით გული არ მოვუ-ლბო, ღიმილით და თვალთნაბვით ქედი არ მოვახრევინო... ქალი სანთე-ლია, მუდამ ვაჟისთვის იწვის, სული ისე უნდა შეუბერო, არ ჩაქრეს... ქალი...



— ყველა ქალი ა[illegible], ბიძიკო! ზოგი ქალი ხანძარია... რამდენ მეტს შეუბერავ სულს, იმდენი ჩაღდება, გწვავს, გდაგავს...—თქვა ვიღაცამ.

— ზოგი ქალი ხეა, ქვა, კლდე, არც სულის შებერვა ანთებს და არც ქურის საბერველი,—დაუმატა მეორემ.

— ტყუილია!—ხელი აიქნია მექანიკოსის ვაჟმა,—გამოუცდელები ხართ. ყველა ქალი სანთელია... ქალის სიმტკიცე მშიშარა და უიღბლო მამაკაცების მონაგონი ჭორია...

— მაშ, ჩვენი კლდექალაც სანთელია?

— კლდექალა ვინღაა?

— აი, მეხუთე ბრიგადის ბრიგადირი.

— მზია?!

— ჰო, მზია!

— დიდი ვინმე გგონიათ ეგ მზია! კლდექალაც კი შეგირქმევიათ... რაცაა თქვენ მასწავლით? თბილისში სანამ სწავლობდა, სულ ბიჭებში იყო...

— ბიჭებში?

— ჰო, ბიჭებში...

— ეს როგორ, მეგობრობდა, თუ?..

— ეს რა ვიცი, სულ მათთან კი იყო და...

— მაშ, სანთელია, სწორედ! აბა სინჯე და შეუბერე!

— მოვინდომო და ვერა?

— ვერა!

— ვერა?

— ვერა მეთქი! ის შეუვალია, კლდეა!

— კლდეს აფეთქებენ!

— მას ვერაფერს მოუხერხებ!

— ნიძლავი, მოდის?

— მოდის!

— ჩემი სანადირო თოფი!

— ჩემი ბროლია! მე შენი თოფი მომწონს, შენ ჩემი ძაღლი.

— დრო?

— თუნდაც მთელ ზაფხულს მოგცემ.

— არ მინდა მთელი ზაფხული, ერთი კვირა იყოს!..

— კარგად დაფიქრდი! შენ ის ქალაქელი „სტილიაგა“ გოგო არ გეგონოს!

— შეშინდი?

— ჩაჭერით ბიჭებო! ვინც სიტყვა გატეხოს, სინდისი შეურცხვეს!

— აგრე იყოს. ჩაჭერით!

ბიჭებმა ჩაჭრეს და ხორხოცი შექმნეს. ვინ ვის მხარეზე იყო, ვინ რას ასკვნიდა, უმრავლესობა მაინც თოფს თვლიდა წაგებულად.

ამ დროს თავმჯდომარემ ომახიანი ხმით გადმოსძახა აივნიდან—ბიჭებს უხმობდა თავისთან.

ბიჭები ავიდნენ და თავმჯდომარის დიდ ოთახში გრძელ სკამებზე ჩამოსხდნენ. თავმჯდომარემ ცოტა ილაპარაკა, თქვა, რომ ყანები იწვის, მარცვალი ჩაცვივა, თუ ორ-სამ დღეში გაღმა ყურის ფართობები არ მოიმკა. ძველი ბრიგადირი ვერ გაუძლვა საქმეს, ამიტომ მეხუთედან მზია ნატროშვილი გადმოვიყვანეთ, მოწინავეა, გამოცდილიო...

— რას იტყვით, ა?

ბროლიას პატრონი გიორგი გაიბადრა:

— რას ვიტყვით და მოვინათლებით, დიდებული საქმეა!

— მაშ, კლდექალა იქნება ჩვენი ბრიგადირი?—გაიფიქრა მექანი-კოსის ვაჟმა,— „ჩიტი თავისით მოდის მახეში... იფ, რა ძაღლს მოვი-გებ!“

— გაბარებთ ამ ლომივით ბიჭებს, აბა, თქვენ იცით!—უთხრა პარტ-ორგანიზაციის მდივანმა მზიას და პატარა სიტყვით მიმართა ბრიგადას.

კლდექალას კი არაფერი უთქვამს. როცა ოთახიდან თავკაცები გა-ვიდნენ, მაშინ დატრიალდა—ორი კაცი საწყობში გაგზავნა, საველე კარავისათვის, ორი კაცი კომბაინერებთან აფრინა, ორიც სოფელს შეუ-სია—ბრიგადის წევრთა ოჯახებში—ვისაც ხელის განძრევა შეუძლია, ორ-სამ საათში გაღმა ყურეში გაჩნდეს, მოხუცები და ბავშვები თავ-თავის აკრეფაში დაგვეხმარებიანო.

— ჩვენ კი ორმოც წუთში წყაროზე მოვიყრით თავს!—უთხრა და-ნარჩენ ბიჭებს,—საგზალი წამოიღეთ, შვიდ-რვა დღეს ყანებში დავრჩე-ბით, ღამესაც იქ გავითევთ, აქეთ-იქით სირბილი არა ღირს. ამით ჩვენს საქმეს ბარაქას და ხვავს უფრო მოვკიდებთ. ორმოც წუთში წყაროზე!

ეს ისე თქვა, თითქოს ორმოცი წუთის მერე ქვეყნის ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო.

— მესმის საქმის დასაწყისი!—პირველი ქათინაური ესროლა მექა-ნიკოსის ვაჟმა კლდექალას. მზიამ სიცილით უპასუხა:

— საქმე ბოლოა... თავში ყველაფერი ლამაზი ჩანს..

— ბოლოც კარგი გვექნება... მიხარია, მზია, შენს ბრიგადაში რომ მოვხვდი... როგორ გიხდება ეს კაბა... შენ შეკერე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო... ჩემი ხელით... აბა, ნუ აგვიანებ... გაიგე?

თქვა და არ დაუცადა პასუხს, ისე გაიჭრა გარეთ.

„უკმეხი ჩანს“, — გაიფიქრა მექანიკოსის ვაჟმა, მაგრამ, როცა მზიას აწითლებულ ლოყებს მოჰკრა თვალი, იმედი მიეცა.

* * *

გიორგი პირველი მოვიდა წყაროსთან. მან ხელ-პირი გაიგრილა და ძველებური სპილენძის თუნგი ცივი წყლით აავსო, მერე თანდილა მოქაქანდა:

— ღმერთი ჩემსკენაა, ჩემო გიორგი. შენი ბროლია მალე ჩემს კვალს დაამშვენებს, საქმე ისე მოეწყო, მგონი, დღესვე დავისაკუთრო თქვენი კლდექალა... შენ უნდა გენახა, როგორ აუპილპილდა ლოყები ჩემს ქათინაურზე... აქედან ხომ ერთად წავალთ?

— ერთად!

— „დამწვარას ტყეს“ ხომ გავივლით?

— გავივლით.

— ჰო და, ბიჭები გააფრთხილე, როცა განიშნოთ, ჩამომშორდით, მასთან მარტო დამტოვეთ და მე განახებთ მის კლდექალობას!

— აგრე იყოს. ისე შენს თოფს გამოეთხოვე... ხომ კარგადაა დაზეთილი?

— ნუ დარდობ! ისა სჯობია, ვინმეს დაუბარე ძაღლს თვალყური ადევნოს!

მათ სიცილსა და ლაღობაში კლდექალაც მოვიდა. მოვიდნენ სხვებიც. კლდექალას ვეება ზურგჩანთა წამოეკიდებინა.

— ყველანი ვართ?

— ყველანი!

— აბა, წავიდეთ... საიდან აჯობებს?

— დამწვარას ტყით, დათვის ბილიკით.—სწრაფად მიაგება თანდილამ.

— მერე და, დათვის არ გეშინიათ?—იხუმრა კლდექალამ და დაუმატა:—წავიდეთ!

მალე გაცდნენ სოფელს. ეს ციცქნა გოგო, სახეზე რომ მარწყვი ულვივოდა და თვალებში იის ნაჟური ედგა, ქურციკივით მიაბიჯებდა. მისი ზურგჩანთა გიორგის წამოეკიდა. გიორგი და თანდილა მხარდამხარ მიდიოდნენ. თანდილა მალიმალ წაჰკრავდა ხელს გიორგის და თვალით ანიშნებდა მომცინარე გოგონაზე, ამ ლომებივით ბიჭებს რომ ჩასდგომოდა შუაში და თავადაც ბიჭივით ოხუნჯობდა.

ჩაათავეს ახოები.

დაიწყო ტყე.

ერთხანს ისინი ფართო შარას მიჰყვებოდნენ, მერე ვიწრო, საცალფეხო გზას დაადგნენ. ეს დათვის ბილიკი იყო, ტყეს შუაზე ჭრიდა, პირდაპირ გაღმა ყურეში გადადიოდა, შარაგზას სულ ცოტა 2-3 კილომეტრით მაინც ამოკლებდა. მათი სიცილი აღვიძებდა მდუმარე ტყეს. ასწლოვან წიფლებში მზის სხივები ცერად ატანდა. თუმცა ცხელი დღე იდგა და მზეც აჭერდა, მაგრამ ტყეში სიგრილე იყო და ალაგ-ალაგ ბებერი წიფლების ძირას ბალახს ჯერ კიდევ შერჩენოდა ცვარ-ნამი.

დამწვარას აღმართში მიყუჩდა სიცილი და სიმღერა. ზოგი დაიღალა და ძალიან ნელა მიაბიჯებდა. კლდექალა და თანდილა ერთად მიდიოდნენ. ფიქრსა და საუბარში გართულ გოგონას არც შეუმჩნევია, როგორ ჩამოშორდნენ სხვები. ის იყო, აღმართიც აათავეს და პაწაწინა ტაფობზე შედგნენ. კლდექალამ ჩახვეულ ბილიკს გახედა, უკან არავინ ჩანდა,

— ეჰეი!—ჩასძახა ჩაღმართს, მაგრამ ტყის ეხოს გარდა არა პასუხი არ ისმოდა. მისგან სამიოდე ნაბიჯზე თანდილა იდგა და იღიმებოდა, ტყის მცველებს ბებერი მუხის ხე წამოექციათ და ჩაეკაფათ. მზია ნამორზე ჩამოჯდა, თვალი შეავლო თანდილას. მას სპორტული ფიჯაკი ეცვა, ლურჯი რეიტუზი, თეთრი პერანგის საყელო ფიჯაკის საყელოზე გადმოეფინა, უფრო ტურისტს ჰგავდა, ვიდრე სამკალში მიმავალს.

— სად არიან ამდენ ხანს?—იკითხა კლდექალამ.

— ჩამოგვშორდნენ, კაცნი ვართ...—ჩაიცინა თანდილამ და შორიახლოს ჩამოჯდა წაქცეულ ხეზე. ბრიგადირს არ მოეწონა არც ეს ჩაცინება, არც თანდილას თვალები, უსიამო გრძნობა აეკვიატა.

— აქედან სოფელი შორს იქნება?—იკითხა თანდილამ.

— განა არ იცი? 5-6 კილომეტრი.

თანდილამ მუხის ტოტი აიღო ნაკაფიდან, ხმელი ფოთლები შემოაფშვნა.

— ხმასაც ვერ მიაწვდენს კაცი, აქ რომ რამე გაუჭირდეს...

— ვერა, ვერ მიაწვდენს... ამიტომ არ უნდა გაიჭირვოს.

— ეს ხომ ჩვენს სურვილზე არაა...

— არ უნდა გაიჭირვოს მეთქი!—მკაცრად თქვა კლდექალამ და ისევ გზას გახედა. კვლავ არავინ ჩანდა, ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ამ დროს ზედ მათ თავზე, ახალაყრილ მუხის ტოტებზე საოცარი წიოკობით შემოჯდა ორი გულყვითელა. ერთი მეორეს უტრიალებდა, არ ასვენებდა, რაღაცას ემუდარებოდა, თხოვდა, ნისკარტებიც კი ჩასცხეს ერთმანეთს.

— აი იდილია!— თქვა თანდილამ,—ხედავ, რა ამბავი აქვთ!

— ალბათ, მატლისთვის ჩხუბობენ.—უგულოდ თქვა მზიამ.

— არა... მათ ბუნების კანონი არ ასვენებთ... ისინი, ალბათ, ქალვაჟნი არიან... ვაჟს მოსწონს, სიყვარულს სთხოვს... ის კორტნა კი არა, ამბორია, წრფელი კოცნა, ასე რომ უყვარს მგრძნობიარე ქალს... აქ ტყეა, მარტონი არიან, ბუნება აქტიურად ილვიძებს ამ დროს...

კლდექალამ მრისხანედ გადახედა თანდილას.

— კაპასობა არ უხდება იმ გოგონა ჩიტუნას... აი, დაუყვავა... ახლა უფრო საყვარელი ჩანს... არც შენს სახეს უხდება მრისხანება, მზია.

კლდექალას თითქოს არც გაუგონია ეს სიტყვები.

— შენი თვალები არც ამ ტყეში სახეტიალოდ გაჩენილან... არც მინდორში ღამის სათევად, შენი თვალები სიყვარულისა და ალერსისათვის არის შექმნილი.

კლდექალა დაიხარა, ძირს დაგდებული ნამგალი აიღო და ჩხირითლა დაიწყო, საღერღელაშლილი თანდილა კი განაგრძობდა:

— არც შენი ტუჩებია გაჩენილი სოფლისათვის... არც შუბლი, არც ეგ ლამაზი ლოყები... მე მალე ინსტიტუტს დავამთავრებ, თბილისში მოვეწყობი. ხომ გახდები ჩემი? მთელ სიცოცხლეს შენ შემოგავლებ, ჩემო მზია...

კლდექალა კვლავ კუშტად გასცქეროდა გზას. ჩამიჩუმიც არ ისმოდა, გული ეტკინა—„განზრახ ხომ არ მომიწყვეს ბიჭებმაო“—ფიქრობდა და, თანდათან რისხვით ივსებოდა.

— მიგვატოვეს?—ყველაფრის პასუხად ბრაზიანად იკითხა კლდექალამ და წამოდგა.

თანდილაც წამოდგა.

— არა, რატომ? ალბათ, სხვა გზით წავიდნენ... ყველას თავის გზა აქვს ცხოვრებაში... ჩვენი გზა აქეთ მიდის... ერთი გზა გვაქვს ჩვენ...

— შენ მისამართი გეშლება, ძმობილო, ეგ აბდა-უბდა წყაროსუბნელებისათვის შეინახე, ჭკუას მოუხმე და წინ გამიძეხ! საქმეზე მივდივართ.

კლდექალას ხმაში ისეთი სიმტკიცე და სიმშვიდე სჭვივოდა, რომ თანდილას ფახი წაუხდა, მაგრამ მაინც შეუტია:

— გამიგონე, მზია! მუდამ ჩემი ოცნება იყავი, მუდამ შენსკენ მქონდა თვალი, გამიგონე, მომეცი სიტყვა, რომ ჩემს იქით არავის იწამებ, რომ შემიყვარებ, რომ ჩემი გახდები, რომ...

— რაებს ბოდავ!—მრისხანედ გააწყვეტინა მზიამ სახეალეწილ თანდილას, რომელიც უკვე წინ ატუზოდა... სუნთქვაგახშირებული, ანთებული თვალებით შესცქეროდა ციცქნა გოგოს.

— გამიგონე, მზია... მომეცი სიტყვა... ერთი სიტყვა... მაგ თვალებს ვენაცვალე, ერთი კოცნა რას დააშავებს, ერთი...—და მან დააპირა ხელები მოეხვია მზიასათვის, მაგრამ ციცქნა გოგომ მოულოდნელად ისეთი შემოჰკრა ყბაში, რომ კბილებმა ჭრიალი გაიღეს, თვალებიდან კი ნაპერწკლები გაცვივდა.

— ტუტუცო!

ეს ისე თქვა, თითქოს ფოლადის ხერხი გატყდა. მარცხენა ხელში ნამგალი ააპრიალა.

თანდილას ხელები გაშეშებული დარჩა, უნებურად გადადგა ნაბიჯი უკან.

— ახლოს არ გაბედო მოსვლა, თორემ ამ წუთში გაგათავებ! აიღე ჩანთა და წინ გამიძეხ, ჩქარა!

დაბნეული და გატეხილი ბიჭი კიდევ ვერ გამორკვეულიყო. ასეთ ბოლოს არამც და არამც არ მოელოდა.

— რა მოხდა ასეთი!—წამოიწყო მან, მაგრამ კლდექალამ აღარ დააცალა, მყისვე შეაწყვეტინა.

— ხმა მეთქი! სიტყვა არ დაძრა. წინ გამიძეხ! ისედაც დავიგვიანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მზია...—კვლავ სცადა თანდილამ.

— ცუდად გიცნივარ!—ისეთი ხმით შესძახა კლდექალამ, რომ თანდილა უნებურად დაიხარა, ჩანთას ხელი წამოავლო და ბილიკს დაადგა.

ათიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ იქვე, ბუჩქნარიდან ბიჭების სიცილი გაისმა. მზიამ მათკენ გაიხედა. გაუკვირდა. ბიჭები წამოიშალნენ და იცინოდნენ, როგორც დანაშაულზე წასწრებულები... ერთხანს უხმოდ უცქეროდა მათ გაკვირვებული და გულმოსული ბრიგადირი.

— სად იყავით?—გაბრაზებით იკითხა მან.

— აქვე!—უპასუხა გიორგიმ.

— აქვე?

— ჰო, აქვე... ოღონდ თანდილას ეგონა ჩვენ სხვა გზით წავედით.

„მაშასადამე მომიწყვეს“—გაიფიქრა მზიამ და გული ეტკინა. ნაწყენი თვალი სიყრმის მეგობარს გიორგის დაადგა და გულნაკლულად თქვა:

— ამას არ ველოდი, მით უმეტეს, შენგან, გიორგი!

გიორგი აილეწა.

— მე ვიცოდი შენი ამბავი, ამ მკვეხარამ კი არა... ამას ჰგონია ყველა ქალი სანთელია და უნდა შეუბერო...

კლდექალას კისკისმა ტყეც შეარხია. გულყვითელები სადღაც გადაიკარგნენ. ბიჭები ხარხარებდნენ, თანდილას თავი ჩაექინდრა.

— ჰო და,—იცინოდა გიორგი,—შენ, მზია, აკი შეუბერე... და მერე როგორ! შეხე, ფერიც აღარა აქვს... შენ კი გენაცვალოს გიორგი... ეგ კი ვიცი, თოფი შენი ნაჩუქარია...

— რა თოფი, რის თოფი?!

— ნიძლავი გვქონდა, შევუბერავო, ჰა, ჰა, ჰა...

— გეყოფათ!—წყენით თქვა თანდილამ და მზიას მიუახლოვდა.

— თოფი წამაგებინე, მაგრამ გული მაპოვნინე... შენი გული,—ქვა და ბილიკს გაჰყვა, ბიჭებიც მის კვალს მიჰყვნენ.

ციცქნა გოგო კვლავ კლდექალასავით მიაბიჯებდა უსიერ ტევრში.

* * *

მეხუთე დღეს მეშვიდე ბრიგადამ ყველას გაუსწრო. ის ამბავი სოფელმაც გაიგო და მეასედ კითხულობდნენ:

— მაშ, შეუბერა, ჰა?—და ერთ სიცილს გააბამდნენ.

თანდილამ თოფი გიორგის გადასცა... გული კი იმ ტყეში დაკარგა. ნიძლავი საბედისწერო აღმოჩნდა.

კლდექალა?

იმ ამბის გახსენებაზე გაიღიმებს... თანდილას დანახვისას კი ვარდივით გაიშლება.

იქნებ გატყდეს კლდის სიმაგრე? თანდილას ხომ ახლა ტოლი აღარ ჰყავს შრომაში. დამწვარას ტყეში დაკარგული გულის პოვნა უნდა, ამისთვის სხვა გზა არ არსებობს, გარდა ბეჯითი შრომისა...

ჯერ კლდექალა ისევ კლდექალაა. თუმცა ლოყებზე მარწყვი ულვივის და თვალებში იისფერი ნაჟური უდგას.





# ასეთია მათი დედები

განმარტოვდა, ფუნჯს მოჰკიდა ხელი. აქაც მოსძებნეს დავითმა და კონსტანტინემ

რეპორტაჟი

გადავწყვიტეთ სტუმრად ვწვეოდით მათ, რომელთა შესახებ ბევრი კარგი გვსმენია, რომელთაც ვიცნობთ მათი შემოქმედებით, საქმიანობით, კარგი ქალობით.

სტუმრობის მიზანი იყო გვენახა ისინი სულ სხვა გარემოში, შინ, ახლობლებთან, შვილებთან.

და აი, ვაკისკენ გავემართეთ.

„როგორი იქნება, რას ვნახავთ?“—ამ კითხვამ მიგვაცილა ცნობილი მხატვრის ეკატერინე ბაღდავაძის სახლის კარებთან.

ღიმილით გვეგებება ნათელი სახის ქალი. უხმოდ მივყვებით... ცოტაც და თვალს კედლებიდან მომზირალი სახეები გვტაცებენ. აღფრთოვანებას ვერ ვმალავთ და ნიჭიერ შემოქმედს შევცქერით. ის დიდი სურათის წინ დგას და ბიჭუნებს უღიმის, თითქოს დიდი ხანია არ ენახოს.

— ესენი ჩემი შვილები არიან, დავითი და კონსტანტინე,—გვეუბნება.

სახელების ხსენებაზე ბავშვები შემორბიან, მალე გვეჩვევიან და ტიტინს იწყებენ.

— ჩემი დედიკო სულ ხატავს.—ბორძიკით იწყებს პატარა დავითი,—ჩვენ შორიდან ვუყურებთ. მერე ვეძებთ ქაღალდს და ფანქარს,—აქ სიტყვა უწყდება და დაწყებულს მისი უფროსი ძმა, კონსტანტინე ამთავრებს,—დედიკო ბავშვობაში, თურმე მუდამ გოგონებს ხატავდა. ჩვენ კი მანქანებსა და სახლებს ვხატავთ. ყველანი მხატვრები ვართ, მამიკოს გარდა, ის პროფესორია.

«ვაჟკაცები» სათქმელს კვლავ ერთმანეთს ეცილებიან და ოჯახის ამბავს გულუბრყვილოდ ყვებიან.

საუბარში დედა ერევა:

— ეს ორი ვაჟკაცია ჩემი სიხარული და შემოქმედების სტიმული. უმცროსი, დათო რვა მარტსაა დაბადებული. ეს დღე ბედნიერების მომტანია ჩემთვის, ამ დღეს მომანიჭეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებაც.

ვათვალიერებთ იქაურობას და გვხიბლავს სისუფთავე, სითბო, მყუდროება. ალბათ დიასახლისია ყველაფერი ამის მიზეზი. ჩვენ კი გვეგონა სხვანაირს ვნახავდით მას, ფალარამშრეულს, ჩაფიქრებულს და არა ასეთს—პაეროვანს, ბავშვივით მეოცნებეს და თითქოს «პატარას».

— როგორია თქვენი დედიკო,—ვეკითხებით ბიჭუნებს, რომლებიც ხტუნვით მიგვაცილებენ გასასვლელისკენ.

— აი, ასეთი,—შლიან ხელს და დედისკენ გვითითებენ.

პაეროვანი, ბავშვივით მეოცნებე და თითქოს „პატარაც“...

* * *

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლეილა თუშიშვილი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე უკვე რამდენიმე თაობის აღმზრდელია, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. გვხიბლავს მისი დინჯი, აუღელვებელი საუბარი, გვიყვება სპარსული ენისა და მისი დიალექტების შესახებ.

— მეც მინდა ვიცოდე სპარსული ენა,—ერევა ლაპარაკში ცხრა წლის ასმათი.—ალბათ, დედა სპარსულს მასწავლის, მამა—არაბულს.

კარგია, რომ ასეთი სურვილი აქვს ბავშვს. გაიზრდება და ვინ იცის, იქნებ მშობლების კვალს გაჰყვეს, დედასავით ჩაუჯდეს წიგნებს და მეცნიერებას რაღაც ახალი შემატოს.

* * *

ლილი ბანძელაძე შვილების მოლოდინში დაგვიხვდა, მისი შვილები უკვე მოზრდილები არიან, სულ უფროსმა—მანანამ შვიდი კლასი დაამთავრა და ახლა მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს, დიტო მეშვიდე კლასის მოსწავლეა, ლალი მესამე კლასშია, სოსო კი პირველკლასელია.





ლილის შვილები არ უმალავენ თუ რაიმე დააშავეს

ლილიმ უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ, რადგან დღეს ასეთი დიდი ოჯახი ჰყავს, სახლშია და ბავშვებს მეთვალყურეობს. აი, ერთს მუსიკაზე არ დააგვიანდეს, მეორემ გაკვეთილები დროზე დაამზადოს, მესამე უჭმელი არ დარჩეს, მეოთხემ სპორტს თავი არ დაანებოს. მარტო ესეც არ არის. სათქმელად ძნელია, რამდენი რამ უნდა გააკეთოს დიასახლისმა.

მერე ალბათ შვილები შეუწყობენ დედას ხელს, უიმისოდააწყობენ ოჯახის საქმეს რომ დედა საზოგადოებაში გავიდეს სამუშაოდ.

— ასეთია ჩემი დედა,—გვახსენდება პატარა დათოს სიტყვები და მის ხმას კონსტანტინეს, ნანას, მანანას, დიტოს, ლალის, ასმათის და სოსოს ხმებს ვუერთებთ.

ასეთია მათი დედები.

ციალა ვაჩარაძე

ასმათს გაკვეთილი კარგად უსწავლია





ეს მანანას საყვარელი პიესაა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ხალხი ნდობას გიცხადებს



— სოფლის სახელით მოვითხოვ,—განაცხადა დეპუტატმა უმაღლესი საბჭოს სესიაზე და ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

მთავრობამ სპეციალისტები მიავლინა იტავაზაში...

* * *

საჩხერის რაიონში ბევრი, ძალიან ბევრი ლამაზი სოფელია. თამარს რომ ჰკითხოთ, რომელია ყველაზე კარგი,—ჩემი იტავაზაო,—გეტყვით, მერე ღიმილით დაუმატებს:—ჩემია და იმიტომ. აქ თვითეული ქვა ძვირფასია ჩემთვის.

აქ დაიბადა, გაატარა ბავშვობა, დაქალდა...

ბავშვობის მოგონებას ხინჯად მამის გარდაცვალება ახლავს, თუმცა დედა მარიამი ყოველ ღონეს ხმარობდა ობლობა არ ეგრძნოთ შვილებს, დღედაღამეს ასწორებდა და ისე ზრდიდა ხუთ შვილს.

პატარა თამარს უყვარდა იზვარის პირას თამაში, მთებზე ხეტიალი, ყველაზე უფრო უყვარდა ბავშვებთან ერთად მოცვისა და სოკოს საკრეფად წასვლა. თუ შეაგვიანდებოდა, შეფიქრიანებული დედა ვაჟიშვილს გაუყენებდა მის გზას.

— წადი, შვილო, ნახე, სად დაიკარგა ის ჭინკა გოგო.

გერვასი მდინარეს აჰყვებოდა ძახილით:

— თა-მა-რე-ლა!

გამოჩნდებოდნენ გოგოები: თამარი, ქუქუნა, შურა...

მათი კისკისი ახშობდა მდინარის ხმაურს. თამარი ბრუნდებოდა სავსე კალათითა და დაკაწრული ხელებით...

* * *

დღეები დღეებს მიჰყვებოდა, ბავშვები იზრდებოდნენ, სოფელიც იზრდებოდა...

ტკავლისოდენა ყამირი არ დაუტოვებია კოლექტივს აუთვისებელი, ყველგან ვენახები გააშენა.

იმატა შემოსავალმა...

ახალი სახლები მოემატა მთის ფერდობებს...

ფერდობები კი ისევ ძველებურად გარს ერტყა სოფელს. ჩამოუდიოდა მდინარე, ჩქარი, გიჟმაჟი. ადიდებისას კალაპოტს გადმოდიოდა, მოაგორებდა დიდრონ ქვებს. წყალს მიჰქონდა სახელდახელოდ გაკეთებული ბოგირი, მერე ერთმანეთთან მისვლა უჭირდათ მეზობლებს.

წყალი ავსებდა ყველა ღრმულს და მაინც უწყლობას უჩიოდნენ.

სასმელი წყალი იყო მათი სატკივარი: სალამოს კოკას შეიდგამდნენ მხარზე ქალები და წყაროსკენ გასწევდნენ. ვიწრო ბილიკი მიჰყვებოდა ფერდობს, იგი სულ ზევით მიიწევდა მთისკენ. მთის ძირში ამოდიოდა წყარო.

ჩიოდნენ ქალები, აწუხებდათ: სიშორე, ტვირთი, მოუმზადებელი სამხარი, სახლში დატოვებული ჩვილის ბედი...

სამუშაოდან დაბრუნებულ კაცებს აწუხებდათ ქალების ხვედრი. ბჭობდნენ, გამოსავალს ეძებდნენ. რამდენიმე ადგილას ჭა გაჭრეს, მაგრამ წყალი ვერ გამოაჩინეს, წყალსადენზე დაიწყეს ზრუნვა. ჯერ იყო და თავი ვერ მოაბეს, მერე მიატოვეს, იმისთვის აღარავის ეცალა. დადგა 1941 წლის ივნისი...

* * *

თამარის ძმები გერვასი და კაკო უკვე მოწიფული ბიჭები იყვნენ, ცოლები შეირთეს, მამები გახდნენ. თავდადებულად შრომობდნენ კოლმეურნეობაში, ოჯახს ბარაქა შემატეს, მოხუცი დედა მოასვენეს. თამარმა საშუალო სკოლა დაამთავრა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა...

არავინ ელოდა იმ დღეს, ყველას ღიმილი რომ შეაცივდა პირზე.

იტავაზაში ოჯახი არ დარჩენილა, ვაჟკაცი რომ არ გაეშვა სამშობლოს დასაცავად. ფრონტზე წავიდა გერვასიც.

კაცების მაგივრობა ქალებმა იკისრეს...

თამარმა უნივერსიტეტს თავი დაანება. ოჯახს ჩაუდგა სათავეში. მუშაობდა, რძალს შვილების გაზრდაში ეხმარებოდა.

დამთავრდა ომი...

ვალმოხდილი ვაჟკაცები კრიას დაუბრუნდნენ. არ დაბრუნებულა გერვასი.

თამარმა ფეხზე დამდგარი ოჯახი მეორე ძმას, კაკოს ჩააბარა, თავად თბილისისაკენ გამოსწია სწავლის გასაგრძელებლად.

* * *

... დაბნეული იდგა თამარი. სათქმელი ვერ მოეფიქრებია. შესცქეროდნენ თანასოფლელები და მის თანხმობას ელოდნენ.

— ვერ შევძლებ, ამ საქმეში გამოუცდელი ვარ,—თქვა მან.

— ჩვენ მოგეხმარებით!—დაიძახა შურა ძინძიბაძემ.

— გვერდში ამოგიდგებით!—ეს ტერენტი იყო, ტყემალაძე, ხმაზე იცნო თამარმა. სოფელმა ერთსულოვანი ნდობა გამოუცხადა და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩია.

ტყუილი როდი აღმოჩნდა დაპირება. პირველი დღიდანვე მხარში ამოუდგა თავმჯდომარეს: გივი, შურა, ქუქუნა ძინძიბაძეები, ივანე, გიორგი შაორშაძეები, ტერენტი ტყემალაძე, მთელი კოლექტივი.

... იტავაზაში ყურძენი უხსოვარი დროიდან მოჰყავდათ. დარჩენილ ფართობზე თესდნენ სიმინდს, ლობიოს, მუხუდოს. ბოსტანში მოჰყავდათ ხახვი, პრასა, ბოლოკი.

ოდითგანვე ასე იყო იტავაზში.

თამარმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია მეურნეობის მრავალდარგობრიობას.

მსხვილფეხა საქონლის მოშენება ბევრად გაზრდიდა კოლმეურნეობის შემოსავალს.

ნავეჭრი ბრიგადირებს გაანდო. მოუწონეს. საერთო კრებამაც დაუჭირა მხარი.

მაგრამ სიძნელეებმა იჩინა თავი.

სადგომის აშენება და საჯიშე პირუტყვის ჩამოყვანა არ აღმოჩნდა საკმარისი, კარგი შედეგების მიღება იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ მომარაგდებოდა პირუტყვი საკვებით ზამთარში.

სილოსის დამზადება არავინ იცოდა სოფელში.

თამარის ოთახში შუაღამემდე ენთო სინათლე. იგი კითხულობდა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურას, ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი მეცხოველეების გამოცდილებას.

არავინ მოუწვევიათ...

თავად ააშენეს სასილოსე კოშკური, შიგ სასილოსე მასალა შეიტანეს. და... მეურნეობის ახალმა დარგმა იწყო განვითარება იტავაზაში...

... რაიონში აღარავინ ამბობდა იტავაზას კოლმეურნეობაზე—ჩამორჩენილიაო. გეგმიურმა მაჩვენებლებმა დიდი ხანია გადააბიჯეს ზღვარს, გაიზარდა შემოსავალი, გაიზარდა სოფელი.

ელექტრონის ბოძები გაჰყვა ფერდობებს.

კიდევ უფრო შეიყვარა სოფელმა თავისი თამარელა. შეიყვარა იგი ენერგიული შრომისა და თავდადებისათვის, შეიყვარა და თავისი სიყვარული არ დაუმალავს. 1958 წელს თამარ შაორშაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

1960 წელს მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თამარი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

* * *

თბილისიდან სამნი წავედით იტავაზაში. პროექტის ინჟინერი, ტოპოგრაფი და გეოლოგი.

საჩხერის სადგურთან კოლმეურნეობის მანქანა დაგვიხვდა.

... როდესაც ერთხელ ნანახს ხელმეორედ მოინახულებ, მეხსიერების აღსადგენად ეძებ ძველს.

ძველი ამბავი კარგად მახსოვს: თბილისიდან წასული შორაპანში გადახვიდოდი, მერე პატარა ორთქლმავალი, სულ სამი ვაგონი რომ ება, სვენებ-სვენებით საჩხერეში აგიყვანდა. მახსოვს, სადგურის უკან ჭუჭყიანი წყლის გუბეები იდგა, აჩხა-ბაჩხა ეტლები და პაპისეული ურმები ელოდა მგზავრებს.

ახლა ძველის ნიშანწყალი არსად ჩანს. ფართოლიანდაგზე ქართული ელმავალი დგას, სადგურის უკან დიდი, მოასფალტებული მოედანია. მოედანს ამშვენებს: სკვერი და პავილიონი. დგანან ავტობუსები, მსუბუქი მანქანები, ტაქსები. აქ ყველაფერი ახალია: ეს სახლები, ხეივანი, სინათლის სვეტები, ეს ფართო ქუჩა...

ჩვენი მანქანა მიჰყვება ფართო ქუჩას...

ოცი წუთის შემდეგ იტავაზაში ვართ. კოლმეურნეობის ეზოში გვეგებება მაღალი ქალი, აცვია ჩალისფერი შალის კაბა, აქვს სადად დავარცხნილი შავი თმა და ასეთივე ფერის ლამაზი თვალები.

სულ მალე შინაურულად გვიჭირავს თავი, მხიარულად ვსაუბრობთ, სამუშაო გეგმებს ვარჩევთ...

* * *

სამი დღეა დავეხეტებით მთებში და ვეძებთ წყაროებს.

არცერთი უკვე ნანახი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, წყალსადენს რომ სჭირდება.

თამარი არ გვშორდება, ჩვენთან ერთად დადის მთებზე და ხშირად გვკაბნის კიდეც საარულში...

ახლა, წყაროს წყლის ფეხით [illegible] მთის ძირში და ვისვენებთ.

— როგორ არის საქმე?—გვეკითხება თამარი.

— რელიეფი საწნეო ცილინდრისათვის შესაფერია,—ამბობს ტოპოგრაფი.

— წყალი დაქანების მიმართულებით წამოვა,—აზუსტებს პროექტის ინჟინერი.

— თქვენ რას იტყვით?—ახლა მე მეკითხება.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ.. წყალი არ არის სამყოფი, ერთი წყარო და ისიც ასეთი პატარა, წყალსადენს არ ეყოფა.—ვამბობ და მზერას ვერ ვუსწორებ.

— ხალხს სასმელი წყალი არა აქვს.

— მესმის...

— არაფერიც არ გესმით. წყალი უნდა მოვძებნოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, წყალი უნდა მივცეთ სოფელს!—ამბობს თამარი და გარემოს საყვედურით ათვალიერებს; მერე კილოშეცვლილი მეუბნება:

— მაპატიეთ, გაცხარებული გელაპარაკებით, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში უნდა შეხვიდეთ, გამონახოთ რაიმე საშუალება. წამოდით, ზევით კიდევ ერთი წყარო მეგულება...

ისევ მივდივართ ზევით. გზას ძლივს მივიკვლევთ, ბურუსია და გაუვალი ძეძნარი, თამარი მიგვიძღვება წინ.

— აი იქ, ზევით, ერთი წყაროა, დაახლოებით იმხელა, წეღან რომ ვნახეთ...

— არ არის საკმარისი,—ვაწყვეტინებ მე.

— მომითმინეთ,—ამბობს თამარი და სულს იბრუნებს,—თქვენ ინჟინრები ხართ, თქვენ უკეთ იცით, მაგრამ მე ჩემი აზრიც უნდა გითხრათ:—ეს ორი წყარო რომ შევაერთოთ, ხომ გაიზრდება წყლის რაოდენობა?

— გაიზრდება,—ვეუბნები მე და ვხვდები თამარის ჩანაფიქრს.

— ჰო და, ძალიან კარგი! რაღა გვიშლის ხელს.

— სამუშაოს ხარჯები გაიზრდება.—ეუბნება პროექტის ინჟინერი.

— გაიზარდოს.

— გაქვთ ამის საშუალება?

— გამოვნახავთ...

* * *

სხვა რამისათვისაც გამონახავენ თანხებს—სულ ცოტა ხანი და სოფელში აშენდება კლუბი, აბანო, საავადმყოფო, ხიდი იზვარაზე...

სულ სხვანაირი იქნება მაშინ იტავაზა...

ო. გობრონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარო ჯაფარიძე



საქართველოს რევოლუციონერ ქალთა პლეადაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პროფესიონალური რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწის ალიოშა (პროკოფი) ჯაფარიძის უახლოეს მეგობარსა და მეუღლეს ბარბარე (ვარო) ჯაფარიძეს.

ბარბარე მიხეილის ასული ხოჯაშვილი-ჯაფარიძე, ანუ ვარო, როგორც მას ეძახდნენ, დაიბადა 1886 წელს შორაპნის მაზრის სოფელ საჩხერეში, ხელოსნის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მისი მშობლები ქუთაისში გადავიდნენ საცხოვრებლად. 1895 წელს მშობლებმა პატარა ვარო შეიყვანეს წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში. ამ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ვარო ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, შევიდა სოციალ-დემოკრატიულ წრეში, მუშაობდა საკვირაო სკოლაში, მონაწილეობდა ფასიან საღამოებში, რომლის შემოსავალი რევოლუციურ მუშაობას ხმარდებოდა.

ვაროს გარევოლუციონერებაზე დიდი გავლენა მოახდინა ალიოშა ჯაფარიძემ, რომელსაც იგი 1901 წლიდან დაუახლოვდა და მერე ცოლად გაჰყვა. ამის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო ა. ჯაფარიძის რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

„ქუთაისში მაშინ ცხოვრობდა ალიოშა ჯაფარიძე, კოლია სოკოლოვსკი და სხვ. მათ გარშემო თავს იყრიდა ქუთაისის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი. ჩვენთან შექმნილი იყო წრე... და უდიდესი სიამოვნებით, ახალგაზრდული ხალისითა და გატაცებით ვსწავლობდით პოლიტეკონომიას, „ერფურტის პროგრამას" და ვოცნებობდით მარქსის „კაპიტალზე". ჩვენი საყვარელი გაზეთი იყო „ისკრა" ...ალიოშა, კოლია სოკოლოვსკი და პუშკარიოვი ერთად ცხოვრობდნენ და ჩვენ ხანდახან მთელ ღამეებს მათთან საუბარსა და კამათში ვატარებდით."—წერდა შემდეგ ვარო.

1902 წელს ვარო ჯაფარიძე რსდმპ რიგებში შედის და ამ დროიდან აქტიურ მონაწილეობას იღებს პარტიულ მუშაობაში. 1904 წლის ოქტომბერში იგი რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებით თბილისში მიემგზავრება. აქ ვარო დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. რამდენიმე თვის შემდეგ პატიმრობიდან განთავისუფლებული ვარო ჯაფარიძე გაემგზავრა ბაქოში, სადაც იმ დროს ა. ჯაფარიძე იმყოფებოდა.

ბაქოში ვარო მასწავლებლობდა ჯერ ნავთის მრეწველთა საბჭოს სკოლაში, შემდეგ კი მოსკოვ-კავკასიის ამხანაგობის მოზრდილთა სკოლაში, საერთო-საგანმანათლებლო საგნების სწავლებასთან ერთად, იგი მოსწავლეთა შორის ეწეოდა პროპაგანდისტულ მუშაობას და, ამავე დროს, განაგებდა ბიბლიოთეკას, რომელიც წარმოადგენდა არალეგალური ლიტერატურის შესანახ ადგილს. ვარო ჯაფარიძე იყო პარტიული მუშაკების დამაკავშირებელი ციხეში მყოფ ამხანაგებთან. ბაქოში მის ბინაზე ერთმანეთს ხვდებოდნენ რევოლუციონერები. აქ ი. სტალინის, ა. ჯაფარიძის, ს. შაუმიანის, ი. ფიოლეტოვის, მ. აზიზბეკოვის, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით იმართებოდა არალეგალური სხდომები. ამ გამოჩენილ ბოლშევიკ-ლენინელებთან სიახლოვემ ხელი შეუწყო ვარო ჯაფარიძის რევოლუციურ ზრდასა და გამოწრთობას.

1909 წლის 10 ოქტომბერს ა. ჯაფარიძის ბინას თავს დაესხა ჟანდარმერია. იმ დროს იქ იმყოფებოდნენ ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე. ვაროს მოხერხებულობამ ისინი დაპატიმრებას გადაარჩინა.

ალიოშა ჯაფარიძე კი დააპატიმრეს და 1910 წელს გადაასახლეს ქ. დონის-როსტოვში, იქედან კი ვოლოგდის გუბერნიის ქ. ველიკოუსტიუგში. ვარო შვილებით ბაქოში დარჩა, მაგრამ მისი ბინა მეფის ოხრანკის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო. ამის გამო, ვარო იძულებული გახდა ბაქო დაეტოვებინა, 1912 წელს იგი მიემგზავრება მეუღლესთან, ქ. ველიკოუსტიუგში. რამდენიმე თვის შემდეგ ვარო ჯაფარიძე მოსკოვს ჩავიდა და შევიდა უმაღლეს პედაგოგიურ კურსებზე. აქ იგი მუშაობს სტუდენტთა არალეგალურ ორგანიზაციაში და მონაწილეობას იღებს სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში. რადგან ვ. ჯაფარიძეს კვლავ დევნა დაუწყეს, იგი უკან ქ. ველიკოუსტიუგში ბრუნდება.

1914 წლის ივლისში ვარო ალიოშასთან ერთად თბილისში ჩამოდის. აქ იგი მასწავლებლობს და ამავე დროს ასრულებს პარტიულ დავალებებს.

1915 წლის მაისში ა. ჯაფარიძე დააპატიმრეს და ენისეის გუბერნიაში გადაასახლეს. ვარო თბილისში დარჩა და განაგრძობდა რევოლუციურ მოღვაწეობას. მას სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა გადასახლებაში მყოფ მეუღლესთან.

1917 წლის ზაფხულში ვარო ბაქოში მიემგზავრება და იქ უკვე ჩასულ მეუღლესთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში. 1918 წელს ბაქოს კომუნარებთან ერთად ვაროც დააპატიმრეს. კომუნარების მხეცური დახვრეტიდან ექვსი თვის შემდეგ ვარო თავს აღწევს აშხაბადის ციხეს და ასტრახანში ჩადის, აქედან იგი ს. კიროვის დახმარებით მოსკოვს მიემგზავრება და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოში იწყებს მუშაობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ვარო ჯაფარიძე თბილისშია და მისთვის ჩვეული ენერგიით ებმება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას ეჭირა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობანი: იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ განათლების კომისრის მოადგილე. 1932-1933 წლებში ვარო სწავლობდა მოსკოვში მარქსიზმის კურსებზე და კომუნისტური აღზრდის უმაღლეს ინსტიტუტში. მან მოსკოვში დაიწყო მუშაობა, დაინიშნა მძიმე მრეწველობის კომისარიატის სისტემაში შემავალი ტექნიკუმებისა და სასწავლო განყოფილების მთავარი სამმართველოს უფროსად.

ვარო ჯაფარიძე იყო სკპ (ბ) XV და XVII ყრილობების დელეგატი, სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული კოლეგიის, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს სსრ ცაკის პრეზიდიუმის წევრად.

1938 წელს ვარო ჯაფარიძემ, ავადმყოფობის გამო, მუშაობას თავი დაანება და გადავიდა პენსიაზე. იგი გარდაიცვალა ქ. მოსკოვში, 1952 წლის 29 ოქტომბერს. დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე.

ვარო ჯაფარიძეში განსახიერებული იყო კომუნისტის ყველა საუკეთესო თვისება—სისპეტაკე, უმწიკვლობა, ჰუმანურობა, მაღალი იდეურობა. მთელი მისი ცხოვრება კომუნიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითია.

ზინა გეგეშიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# დედებიდან შვილებს

ის ქართულ თეატრში მოვიდა ახალი აზრით, ახალი განცდებით და როგორც მთრთოლვარე სიმმა, ახალი რეზონანსით აავსო თეატრის სცენა! უკვე 30-იან წლებში ივდითის როლის უბადლო შემსრულებელს აღიარებდნენ არა მარტო ქართველ, არამედ ყველა ქვეყნის და ყველა ერის მსახიობად, უკვე ამ დროს მისი „რიტმის საოცარი გრძნობა, მაღალი, ფრიად მეტყველი მოქმედება და ჟესტი“ მიჩნეული იყო არტისტული კულტურის სწორუპოვარ ნიმუშად.

ვერიკო ანჯაფარიძე კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გაიზარდა, დაოსტატდა და ყოველთვის მოწაფის გულმხურვალებით და მადლიერებით იგონებს ამ დიდბუნებოვან ადამიანს. მიუხედავად მარჯანიშვილის უზარმაზარი ერუდიციისა, ვერიკო არასდროს ბრმად, მორჩილად არ მიჰყვებოდა მის ნებას ამა თუ იმ სცენური სახის გახსნაში, ძალიან ბევრჯერ საკუთარი ინტუიციით უდგებოდა მას და იმარჯვებდა.

**სოფიკო ჭიაურელი**





ვერიკო ანჯაფარიძე

თითქოს შეუძლებელია მის გვერდით იყო და რაღაცა მსახიობური არ გადაგედოს.

მით უფრო შეუძლებელია — იყო სოფიკო ჭიაურელი, ასეთი სახელოვანი მსახიობის შვილი და მსახიობი არ გამოხვიდე.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ „შესაძლებლობას“ მარტოოდენ ვერიკო არ უქმნიდა თავის ქალიშვილს. აქ არანაკლები გავლენა ჰქონდა მამას—მიხეილ ჭიაურელს, საბჭოთა კინემატოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეს, რომლის სახელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი კინოხელოვნების ბევრი თვალსაჩინო მიღწევა.

სოფიკოს სურვილი არ ყოფილა მაინცდამაინც მსახიობობა. ეს მისთვის იყო ჩვეულებრივი გატაცება და არა ოცნება. საოჯახო სპექტაკლებში წარმატებით გამოსვლები მხოლოდ უმტკიცებდა სურვილს კვლავ და კვლავ გამოეცადა ნიჭი ამ დარგში. ასე იყო ეს (ყოველ შემთხვევაში, თვითონ სოფიკოს ასე ჰგონია) გარკვეულ დრომდე. ხოლო მაშინ, როცა უკვე ძალიან ცოტა დრო დარჩა ყოყმანისა და არჩევანისათვის, გაიმარჯვა ხელოვნებისადმი სიყვარულმა და სოფიკო მოსკოვში გაემგზავრა კინოხელოვნების საფუძვლების დასაუფლებლად.

მაყურებელმა იგი პირველად გაიცნო ფილმში „ჩვენი ეზო“, შემდეგ ნახა ფილმში „ამბავი ერთი ქალიშვილისა“. როლის გულწრფელი, ნამდვილად ნიჭიერი შესრულებით სოფიკომ ახალგაზრდა ექიმის ერთობ დამაჯერებელი სახე შექმნა (თუმცა თვითონ მაყურებელმა გულთბილად ვერ მიიღო ფილმი, მთელი რიგი სიუჟეტური ხარვეზების გამო). მაყურებლის წინაშე სოფიკო წარსდგა, როგორც დიდი შესაძლებლობის მქონე მსახიობი.

ამჟამად მუშაობს რეჟისორ რონდელთან ფილმზე „ინგურის ნაპირებზე“. ამ ფილმში, რომელიც ტყის მუშაკების ცხოვრებას ასახავს, იგი შეასრულებს ერთ-ერთი მთავარი გმირის — თამარის როლს. ეს იქნება უშიშარი ბუნებისა და დიდი განცდების ქალი, რომელიც წარმატებით სძლევს მუშაობის პროცესსა და პირად ცხოვრებაში წარმოქმნილ დაბრკოლებებს.

უშანგი ჩხეიძის თქმისა არ იყოს, „ვერიკოსთანა მსახიობნი არც ისე ხშირად იბადებიან“, მაგრამ დრო ჯერ კიდევ წინ არის, სოფიკო სულ ახალგაზრდა მსახიობია და კიდევ უფრო ახალგაზრდა დედა. თუ მან ოდესმე სტილით ვერა, მაგრამ თამაშის სიძლიერით მაინც გაგვახსენა თავისი დედა... ეს იქნება მისი დიდი გამარჯვება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ერთბაშად გამოჩნდა ჭადრაკის სამყაროში: თითქმის დებიუტანტი — პირველობის ჩემპიონი გახდა, და ძალიან ბევრისთვის იყო ამაში შემთხვევითი, მოულოდნელი...

ჩემპიონის გვირგვინისაკენ შემდგომი წინსვლა ზრდიდა ამ ყოველთვის დინჯი, დაკვირვებული და ნამდვილად ჭკვიანი ქალისადმი ჭადრაკის ქართველ მოყვარულთა პატივისცემას. ის ხმაურით გამოეცხადა და წყნარად, უხმაუროდ მიეფარა მათ.

და დღეს ლილი ასლანის ასული გელოვანი — გეოლოგიური სამმართველოს მეთოდური პარტიის უფროსი — ძალიან ცოტას ეხსომებოდა, როგორც მოჭადრაკე, რომ არ ყოფილიყო მანანა ტოგონიძე. პირველი წრთობა ჭადრაკში მანანამ სწორედ დედისაგან — ლილი გელოვანისაგან მიიღო. და არის ამაში საგულისხმო, დამაფიქრებელი: შეგირდმა ოსტატს აჯობა.

სულ ახლახან საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა მანანა ტოგონიძეს სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა. აი, უკვე ათი წელია მანანა მუდმივი მონაწილეა ჭადრაკში რესპუბლიკური, საკავშირო და საკავშირო გუნდური პირველობებისა. გოგონებს შორის ჩვენი ქვეყნის პირველმა ჩემპიონმა შემდგომ სრულყო ოჯახში დედისა და პიონერთა სასახლეში დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით ათვისებული საჭადრაკო ტრადიციები და არაერთხელ გაგვახარა შესანიშნავი წარმატებებით.

გონებამახვილობასთან ერთად მოჭადრაკეს მოეთხოვება განსაკუთრებული სიმშვიდე და თავმდაბლობა. მანანა ტოგონიძეში ბედნიერად არის შეხამებული ეს თვისებანი.

თუ რამდენად ინტენსიურია მანანა ტოგონიძის მოღვაწეობა საჭადრაკო ასპარეზზე, ეს იქედანაც ჩანს, რომ გასული წლის ბოლო თვეებში მან მონაწილეობა მიიღო: უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობაში, რომელსაც უნდა გამოევლინებია პრეტენდენტთა 1961 წლის ტურნირის (იუგოსლავიაში) სამი დამატებითი მონაწილე. ტურნირში პერსონალურად მიწვეულ კ. ზვორიკინასა და ლ. ვოლპერტს გარდა; თბილისში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც მან მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა. ოქტომბერში მანანას ვხედავთ მოსკოვში — ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო კულტურის ცენტრში — როგორც მოკავშირე რესპუბლიკების 9 უძლიერეს მოჭადრაკეთა გუნდის ტრადიციული ჩემპიონატის მონაწილეს (ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ამ გუნდურ პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალებმა ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა შესძინეს თავის გუნდს), შემდეგ — რიგაში, სადაც ერთ თვეზე მეტხანს მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელიც ბრძოლის განსაკუთრებული შეუპოვრობით გამოირჩეოდა. ამ ჩემპიონატში მანანამ მე-9 ადგილი გაიყო კ. ზვორიკინასა და ვ. კოზლოვსკაიასთან ერთად.

სადაც არ უნდა იყოს მანანა, როგორიც არ უნდა იყოს მისი შედეგი შეჯიბრებაში, ყველგან და ყოველთვის კეთილსინდისიერად იცავს თავისი პატარა რესპუბლიკის დიდ სპორტულ ღირსებას.



ლილი გელოვანი



მანანა ტოგონიძე

გასული წელი სხვა მხრივაც ნაყოფიერი იყო მანანასთვის: ამ წელს მან დაამთავრა ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-გეოლოგის კვალიფიკაციით და ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვუსურვოთ, რომ აქაც დედის ღირსეული „მემკვიდრე" ყოფილიყოს.

* * *

— შენს წინაშე ცოცხალი არსებაა. იგი ჩვილის უმწეო მორჩილებით ელოდება შენგან შველას. და შენ ვერ უშველი მას მარტოოდენ მკურნალის ხელოვნებით, თუ მასში არ ჩააქსოვე დიდი ადამიანური სითბო, — ასე იწყებს თავისი სპეციალობის შესახებ საუბარს რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ოლია სამსონის ასული კვირკველია.

თითქმის სამი ათეული წელია იგი ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება და განსაკუთრებული გულისხმიერებით, საქმის შესანიშნავი ცოდნით, დაუღალავი, ჭეშმარიტად დაუშრეტელი ენერგიით მშრომელთა დამსახურებული სიყვარული მოიპოვა.

პატარები არიან მისი პაციენტები, ბევრმა

ოლია კვირკველია



ლაპარაკიც არ იცის ჯერ, და, აი, მთავრობამ მათ მაგივრად გადაუხადა მადლობა ღვაწლმოსილ ექიმს: მედლებით დააჯილდოვა და რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება მიანიჭა, ხალხმა კი განსაკუთრებული ნდობა გამოუცხადა—რაიონული საბჭოს დეპუტატად აირჩია.

ოლია კვირკველია ერთი იმ ბედნიერ ადამიანთაგანია, რომლებმაც თავიანთ ნამდვილ მოწოდებას მიაგნეს ცხოვრებაში. ბავშვთა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მდიდარი გამოცდილება დააგროვა და ამჟამად, პედიატრიის ინსტიტუტში მუშაობისას, განზრახული აქვს ამ გამოცდილების მეცნიერული განზოგადება. უკვე ნახევარ საუკუნეს გადაცილებული, იგი შეუნელებელი ინტერესით მუშაობს საკუთარ თავზე, გულდასმით სწავლობს სამამულო მედიცინის უკანასკნელ მიღწევებს და მისი მხურვალე სურვილია საკუთარი სიტყვა თქვას აქაც.



ალექსანდრა გოგეშვილი



თინა არჩაია

მაგრამ აქვს მას სხვა მხურვალე სურვილიც ეს სურვილი მის ქალიშვილს თინა ბაგრატის ასულ არჩაიას ეკუთვნის. აგერ უკვე 12 წელიწადია თინა არჩაია ცხაკაიას ჩვილ ბავშვთა სახლში მუშაობს — ექიმ-პედიატრის სპეციალობით. ბავშვებს უყვართ იგი არა მხოლოდ სასიამოვნო გარეგნობის გამო,—ამ ახალგაზრდა ქალში უდედო ბავშვები ღვიძლ დედას გრძნობენ, ბევრი მათგანი არჩაიას ახსენებს თავის გვარად. ახალგაზრდა პედიატრმა მონახა გზა ბავშვთა გულებისაკენ, შეიყვარა, შეითვისა და, თუმცა შვილები არა ჰყავს, საკუთარ შვილებივით შეისისხლხორცა ისინი.

და აი, დედის სურვილია, რახან შვილიც მის გზას დაადგა, მასავით კეთილსინდისიერად, ნიჭის, ენერგიის დაუზოგავად ემსახუროს არჩეულ საქმეს.

* * *

ლანჩხუთელი მუშის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ქალიშვილმა აღბულახის რაიონის სოფელ დიდ ანაგეთში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. ეს იყო 37 წლის წინათ. საქართველო მაშინ ზრდისა და განახლების სიძნელეებს განიცდიდა. სიძნელეები იყო ყველგან—ოჯახში, სკოლაში ინგრეოდა ძველი საყრდენები და სხვა ვის, თუ არ მასწავლებელს, უნდა გაეწია აღმზრდელობითი მუშაობა მოზარდ თაობაში ახალი იდეების სულისკვეთებით. გადიოდა წლები, ძნელი, მაგრამ ნაყოფიერი შრომით დამძიმებული. სულ უფრო მეტი ხალისი იჭრებოდა ალექსანდრა გოგეშვილის ცხოვრებაში, მის პედაგოგიურ საქმიანობაში.

და დღეს, საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავზე, კვლავ ძველებურად მხნე და ამაყი დგას სასკოლო მერხებს შორის მოსწავლეთა ყურადღებით გარემოსილი და კვლავ ჩვეული გატაცებით უნერგავს მოზარდ თაობას სიკეთისა და სათნოების, სამშობლოსადმი სიყვარულის მაღალ გრძნობებს.

მედეა ალავიძე



საქმის უდიდესმა ენთუზიასტმა თავის გზით გაიყოლია ქალიშვილიც—მედეა ლავრენტის ასული ალავიძე. მედეა მათემატიკის მასწავლებელია თბილისის 62-ე სკოლაში. ახალგაზრდა მასწავლებელს უყვარს თავისი სპეციალობა და ეს უკვე თავისთავად არის წარმატებების საწინდარი.

* * *

ასეთები სხვებიც ბევრნი არიან—შვილები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ დედების წარმატებებს და შეიყვარეს მათი პროფესია, მერე თვითონაც ამ პროფესიას დაეუფლნენ და მიზნად დაისახეს მშობლების საქმიანობის ღირსეული გამგრძელებლები ყოფილიყვნენ.

**ნანული ძოჩიშვილი**




ფოტო ა. დანილინის

# ალბათ, ბევრს ახსოვს

ისინი მოდიოდნენ ნელა მოსკოვის დათოვლილ ქუჩაზე. ფანტელები დავობდნენ ჰაერში, ეხლებოდნენ ერთმანეთს და ჩერდებოდნენ მათ მხრებზე, თმებზე. წამწამებსაც ეცემოდა ფიფქები თოვლის. და უნდოდა ბების ხელში აეყვანა მარგარიტა, პატარა და სუსტი. ბების უნდოდა ჯერ თოვლში ამოესვარა ის, მერე აეყვანა ხელში და მაღლა, მაღლა ესროლა თეთრი ფანტელებისათვის...

...სახლთან შეჩერდნენ. ზევით, მეოთხე სართულზე არის ორი პატარა ოთახი. «მ. ჩხეიძე, ბ. კაფიანი»—აწერია კარებს. ეს მათი სახლია. ამ სახლის მშენებლობაზე ახალგაზრდები მუშაობდნენ და ბებიც იყო მათ შორის. ეს სახლი მისი აშენებულია, აქ ის ყველა აგურს იცნობს. ზევით, მეოთხე სართულზე არის ორი პატარა ოთახი. იქ პატარა შავი როიალი დგას და თუმცა ახლა ღამის პირველი საათია, თუმცა ახლა ყველას ძინავს, მარგარიტა შესვლისთანავე აანთებს სინათლეს, გაიხდის თეთრ, ჰაეროვან კაბას, გადაიცვამს უბრალოს და მიუჯდება როიალს. ბები უკვე სავარძელში ზის. მან იცის—მარგარიტა დაღლილია, ერთი საათის წინ ის უკრავდა იქ, დიდ დარბაზში—მაინც დაუკრავს ბების საყვარელ შოპენის «ნოქტიურნს», «სკერცოს».

იქ, დარბაზში იყო ხალხი, ბები იჯდა სადღაც, უკანა რიგებში და მარგარიტა მოცარტს უკრავდა—მსუბუქად, ფაქიზად, უბრალოდ. უკრავდა ბეთჰოვენის «ვარიაციებს». ვაჟკაცური სული, დრამატიზმი, კომპოზიტორის შემოქმედების ფილოსოფიური სიღრმე ისევე ახლობელია მისთვის, როგორც მოცარტის ნაწარმოებების ცხოველმყოფელობა. თვითეულ ვარიაციას ხომ განსაკუთრებული, ნათელი გამომსახველობითი ფორმა მოუნახა მან: ხან ნაზი და ოცნებიანი, ხან მჩქეფარე და ექსპანსიური...

იქ, დარბაზში, ასობით ადამიანი უკრავდა ტაშს. იქ, კონცერტის დამთავრების შემდეგ, ყვავილებში ჩაფლული იდგა მარგარიტა ბედნიერი და თვალებით მაინც ვიღაცას ეძებდა—ბები უნდა ყოფილიყო სადღაც შორიახლოს...

ახლა კი ისინი დიდხანს, დიდხანს ილაპარაკებენ. მერე ნოტებს გადაშლიან და... იდავებენ.

ასეა ყოველი კონცერტის შემდეგ. უკვე რვა წელია ასეა. მაშინ კი, როცა სხვა ქალაქებშია გასტროლებზე (ჩელიაბინსკსა თუ პერმში, კუიბიშევსა თუ მინსკში, ნოვოსიბირსკში, კიევსა თუ სტალინოში)—ბები მოსკოვიდან ყოველ საღამოს ტელეფონით ელაპარაკება და თითქოს ხედავს როგორ გამოდის ის სცენაზე, როგორ იმორჩილებს მთელ დარბაზს, თითქოს ისიც ესმის, როგორ უკრავენ ტაშს პატარა, თეთრ მარგარიტას...

ასე იყო მაშინაც, 1956 წელს, როცა მარგარიტა ზალცბურგში უკრავდა და მოცარტის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა. ამ კონკურსზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან საუკეთესო მუსიკოსები იყვნენ წარგზავნილები (150 კაცი). მხოლოდ ექვსმა გაიმარჯვა და მათ შორის იყო ქართველი გოგონა—მარგარიტა ჩხეიძე.

იქ, ზალცბურგში, გენიალური კომპოზიტორის სამშობლოში, ხალხით გაჭედილ დარბაზში საზეიმოდ გადასცეს მას ლაურეატის სიგელი. მოცარტის სახლ-მუზეუმში მან ნახა კომპოზიტორის თმა, მისი ხელნაწერი... საპატიო ალბომში ხელი მოაწერა, როგორც მოცარტის სახელობის ლაურეატმა...

იმ ხანებში პრესამ დიდი ადგილი დაუთმო მარგარიტა ჩხეიძეს:

„... მას ძალუძს ღრმად ჩაწვდეს ავტორის ჩანაფიქრს, თავისებურად გადაამუშავოს, ამასთან ისე, რომ არ ავნოს ნაწარმოების იდეას...“

„... შესანიშნავად გრძნობს მოცარტს, შეუდარებლად გადმოსცემს მისი მუსიკის სიცოცხლით სავსე პათოსს, სიმსუბუქეს და სიფაქიზეს...“

„... მის დაკვრას ახასიათებს რიტმის მკვეთრი გრძნობა, უბრალოება, ფრაზის სინათლე. მისი ბგერა გამჭვირვალეა და სუფთა“...

მარგარიტა ჩხეიძის წარმატებამ ზალცბურგში აიძულა ზოგიერთი სკეპტიკურად განწყობილი ავსტრიელი მუსიკოსი ეღიარებინა, რომ გენიალური კომპოზიტორის თანამემამულეებს ბევრი რამ შეუძლიათ ისწავლონ საბჭოთა მუსიკოსებისაგან მოცარტის ინტერპრეტაციის მხრივ.

ეს იყო წლების მანძილზე დაუღალავი შრომით მოპოვებული გამარჯვება. ეს იყო თბილისის მუსიკალურ ათწლედში პროფესორ ა. თულაშვილთან გატარებული წლები, როცა ის საათობით იჯდა როიალთან და ავარჯიშებდა



თითებს, როცა თვითეული ახალი ნაწარმოები იწვევდა ახალ გრძნობას, ავსებდა მის არსებას...

კონცერტები კონსერვატორიის მცირე დარბაზში და თულაშვილის კმაყოფილი ღიმილი.. ათი წლის გოგონა უკრავს ბეთჰოვენის პირველ კონცერტს საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ორკესტრს ოდისეი დიმიტრიადი დირიჟორობს... თორმეტი წლისა—ალექსანდრე გაუკის დირიჟორობით ასრულებს მენდელსონის „ბრწყინვალე კაპრიჩიოს“... კონცერტიდან დაბრუნებული, გვიან ღამემდე კითხულობს გალაკტიონს, უიტმენს, ლორკას...

ალბათ, ბევრს ახსოვს თბილისში პატარა მარგარიტა ჩხეიძე—მუსიკალური ათწლედის მოსწავლე. მან ხომ თავისი შესანიშნავი დაკვრით იმთავითვე მიიპყრო თბილისელი მსმენელების ყურადღება. მაშინ მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ...

ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამოჩენილ საბჭოთა პედაგოგ ა. გოლდენვეიზერთან სწავლის წლებში დაიხვეწა მარგარიტას გემოვნება, ამ წლებში გაიზარდა ის, როგორც მუსიკოსი.

1959 წელს მოსკოვში ჩატარებულ შოპენის კონკურსში მარგარიტაც იღებდა მონაწილეობას. კონკურსის დამთავრების შემდეგ მასთან მივიდა გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსი ჰ. ნეიჰაუზი.

— მე მეგონა შოპენი მოკვდა, —თქვა მან, — მაგრამ როცა მოგისმინეთ, დავიჯერე, რომ ის ცოცხალია...

მოსკოვის სრულიად რუსეთის საგასტროლო-საკონცერტო გაერთიანებაში პიანისტებს შორის მარგარიტას თითქმის ყველაზე მეტი კონცერტი აქვს მიცემული. ხშირად, ძალიან ხშირად მოდის იქ წერილები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან—ისინი მოითხოვენ მარგარიტა ჩხეიძის კონცერტებს განმეორებით...

... და როცა დარბაზში ქრება სინათლე, სცენაზე თეთრკაბიანი ქალი მიუჯდება როიალს. როცა მისი პატარა და ძლიერი ხელი აიღებს პირველ აკორდს, დარბაზში მყოფი ივიწყებს ყველაფერს—მარგარიტას თან მიჰყავს ის მუსიკის მშვენიერ სამყაროში და ჩააფიქრებს...

* * *

... გარეთ ღამეა და თოვს. ფანჯრიდან ჩანს მოსკოვი—თეთრი და დიდი. მარგარიტა როიალთანაა, უკრავს—ხვალ ნეიჰაუზმა უნდა მოუსმინოს.

საწერ მაგიდაზე დახრილია ბების თავი—ის ახლახან იყო პარიზში, უჯრედის ბიოლოგთა კონგრესზე. იქ მან ბევრი რამ ნახა, გაიგო და ახლა ბევრი აქვს სამუშაო.

ფრთხილად უახლოვდება მარგარიტა, მხარზე ხელს ადებს:

— ხომ არ შემიძლია რამეში დაგეხმარო...

ბები იცინის და მერე ისინი მეორე ოთახში გადიან—იქ ძინავს პატარა სანდროს. ხვალ დილით ის პირველი გაახელს თვალს, მისი წკრიალა ხმა დაარღვევს ოთახის მყუდროებას...

გარეთ ღამეა და თოვს. ფანჯრიდან ჩანს მოსკოვი —თეთრი და დიდი. საქართველოში, ალბათ, შემოდის უკვე ყოჩივარდები, იები...

ლია გოგიშვილი,

მოსკოვი.







# ფიქრები მეგობარ ქალებზე

მეგობარი! რამდენი რამის მთქმელია ეს ერთი სიტყვა. მეგობარი გამოგყოლია სკოლის მერხიდან, უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიიდან, სოფლის გადახნული მინდვრებიდან, ქარხნის დაზგიდან... მეგობართან ხმამაღლა ფიქრობ, საუბრობ, როგორც საკუთარ თავთან, შენი ჭირისა თუ ლხინის მოზიარედ გაგიხდია.

გვიყვარს მეგობარი, გვიხარია მისი კარგი, მაგრამ, რა დასამალია, რომ ზოგჯერ მის ნაკლზე თვალსა ვხუჭავთ, ან ვერ ვამჩნევთ, ან არა და, არ გვსურს გული ვატკინოთ. ალბათ, სიყვარულის ბრალია...

მაგრამ ესეც ხომ სიყვარულის «ბრალი» იქნება, თუ კი მეგობრის ნაკლს ამხელ. ასეთი მეგობარი, ალბათ, შენც გყავს, მასაც ჰყავს, სხვასაც ჰყავს... და მოდი ყველამ ერთად ვუთხრათ ჩვენი გულისტკივილი.

* * *

მე და ის გოგონა ერთად დავდიოდით თბილისის ქუჩებში. ბეჭებზე ორი სქელი ნაწნავი გადაეგდო, საქაღალდეში ფაქიზად ჩაეწყო ნოტების დასტა. მივდიოდით, მივსაუბრობდით. გვიხაროდა ნაადრევი გაზაფხულის მზე, თბილისის ცა. რაზე ვსაუბრობდით? ათას რამეზე: წაკითხულ წიგნებზე, პირველ ოცნებებზე, ბეთჰოვენსა და ფალიაშვილზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც მოზარდთა გულებს აღელვებს...

მივდევდი და მეამაყებოდა, რომ ასეთი კარგი მეგობარი მყავდა. ჭკვიანი, ნიჭიერი. განა მარტო მე? ამ გოგონათი მთელი სკოლა ამაყობდა. აფასებდნენ მის მუსიკალურ ნიჭს. საზეიმო საღამოებსა თუ დილებზე ხშირად აცხადებდნენ მის გვარს. გამოვიდოდა სცენაზე. შავ ხავერდის კაბაზე თეთრი საყელო და სამაჯურები ქათქათებდნენ. ახდიდა როიალის თავს. ერთხანს დაფიქრებული იჯდა. მერე თითქოს გამოფხიზლდაო, კლავიშებს შეახებდა გაწვრთნილ თითებს. ჩვენ ვდუმდით. მუსიკა მოგვითხრობდა თუ როგორ ირწეოდნენ ნაძვები ქარში, როგორ ცვიოდა ატმის ხეს ფიფქივით ყვავილები, რა ჩუმად ამოდიოდა მთების გადაღმა მზე... წყდებოდა მუსიკა და ახლა ტაში მიაცილებდა სცენიდან გასულ დამორცხვებულ გოგონას.

ხშირად მივდიოდით მასთან ბინაზე. ერთად ვწყვეტდით ალგებრულ ამოცანებს, ვწერდით ქიმიის ფორმულებს... და ბოლოს ისევ ნოტები, ფორტეპიანოს თავზე დალაგებული. სულაც არ გვწყინდა, როცა უფროსები მორიდებით გვეტყოდნენ: ნანა კონცერტისათვის ემზადებაო. ერთმანეთს ჩუმად გადავხედავდით და ასევე ჩუმად ვტოვებდით მის ბინას—არ გვინდოდა ხელი შეგვეშალა: ის ხომ სიამაყე იყო ჩვენი, იმედი ჩვენი სახელოვანი მომავლისა...

მას შემდეგ წლები წავიდა. ყველამ მოვნახეთ ჩვენი გზა. ავად თუ კარგად შევებით ჩვენს საქმეს.

გულს ერთი ბზარი მაინც ატყვია—ბზარი აუხდენელი ოცნებისა, გაცრუებული იმედისა: სადღაა ის ჩუმი, მორცხვი გოგონა, რომელზეც ამდენ იმედს ვამყარებდით, რომლითაც ასე ვამაყობდით. საუკეთესო შემსრულებელთა გვერდით მას ველარ ვხედავთ. ალბათ, მტვერი ადევს პიანინოს თავზე ნოტებს. ალბათ, ოცნებობენ კლავიშები ნაცნობ თითებზე... სახელი კი? სახელი და გიტარა ერთად წკრიალებენ ჩვენს დღეობებზე, ჩვენს ქორწილებში... დიახ, დღესაც ხელიდან ხელზე აგოგმანებენ ჩემს ძველ მეგობარს. უიმისოდ სუფრას ლაზათი არა აქვს, სიმღერას ეშხი. ქართული გიტარა, რომელზეც ასე ტკბილად დამღერიან დები იშხნელები, ჩემი მეგობრის ხელში მექსიკურად გაჰყივის, ინგლისურად ზუზუნებს და ჯაზურად როკავს.

„რა ნიჭიერია!"—აღტაცებით ამბობს ჩემი მეგობრის შესახებ ჩვენი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი. „ნიჭიერია"—მეც ვადასტურებ და გული მწყდება, რადგან ბევრს გვახსოვს მისი ნიჭის ნამდვილი ზეიმი. გვახსოვს, როგორ ტოკავდნენ ნაძვები, როგორ სისინებდნენ ლერწმები, როგორ ცვიოდა ატმის ხეს ფიფქები...

დღეს მღერის ჩემი მეგობარი. ნაცოდვილარი სტრიქონებით შეუკოწიწებია ქართული ლექსი და უცხოურად ჰკვნესის, ჰგოდებს, ატირებს გიტარას.

ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შეასრულა მან ჭეშმარიტად ქართული სიმღერა. ეს იყო უძველესი მეგრული ნანა. მას ტელევიზიით უსმენდა ჩემი ქალაქი. უსმენდა სულგანაბული, თვალზე ცრემლმომდგარი. ვხედავდით საუკუნეების მიღმა აკვანზე დამხობილ დედას. ღარიბულ ფაცხაში ვარსკვლავები იმზირებოდნენ, ქარს სახურავზე ისლი გადაეძრო. ციოდა დედას, ციოდა შვილსაც, მაგრამ დედური სიმღერა ათბობდა გულებს...

აი, რა გვიამბო ნამდვილმა სიმღერამ.

ჩემო მეგობარო!

იმღერო ისე, როგორც მღერიან უცხოურ ფილმებში, დაიზეპირო ფირფიტებზე, მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიმღერები, ტექსტი, რომელიც არ გესმის, ეს არც ისე საამაყოა. მაგრამ შენი ხალხის მდიდარ მელოდიებს რომ ჩაწვდე, ახლებურად ააჟღერო და ერთხელ კიდევ გაუთქვა სახელი მშობლიურ სიმღერებს,—ეს მართლაც რომ საამაყოა!..

ო, როგორ მინდა ჩემი მეგობრის ნიჭმაც დაიდოს წილი ქართული სიმღერის ზეიმში.

* * *

ეს იყო ომის მღელვარე წლები. მამები ფრონტიდან გზავნიდნენ სამკუთხა ბარათებს. დედები დილის ბინდბუნდში დგებოდნენ და ფაბრიკებისკენ, ქარხნებისკენ მიეშურებოდნენ.

ჩვენ გვეცვა ჩითის კაბები. ჩანთაში გაცვეთილი სახელმძღვანელოები და შავი პურის ნაჭერი გვედო.

ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით მოსკოვს.

ვიზეპირებდით ლექსებს კაპიტან ბუხაიძესა და შალამბერიძეზე.

ვკითხულობდით კედელზე აკრულ უკანასკნელ ცნობებს.

გახსოვს?—გაზეთიდან ზოია კოსმოდემიანსკაიას სურათი ამოვჭერით და სათუთად შევინახეთ.

გახსოვს?—თავი შევიყარეთ და ვიმღერეთ გმირ გოგონაზე:

„შენს ქალობას დალოცავენ,  
შენს ჩაჯას და იარაღს,  
რა პატარამ გამოსცალე  
უკვდავების ფიალა!"

გახსოვს?—მატარებლის კიბეზე ვიდექით და ისე მივედით ქართლის ერთ პატარა სადგურზე. შემხვედრი ქარი გვიწეწდა თმებს, რკინის მოაჯირს ჩაჭიდებული ხელები გვიხეთქოდა. მაინც ვიცინოდით. თავს ვარიდებდით ტირიფის ტოტებს და ისე ვუჭვრეტდით ხეებსა და ხეებს შუა არმაზის სამარხებს. მიჰქროდა ქართლი: ჩამოშვავებული კლდეები, ყვითელი ბორცვები, უფლისციხის სამარხები, რიყეზე დაყრილი ნახირი...

მერე კვლავ თბილისისკენ. კალათებში გვეწყო ხახვი და კარტოფილი, ყველი და ჭარხალი...

მერე ორმოცდახუთის 9 მაისი!

მოზეიმე ქუჩები, გაბრწყინვებული თვალები. პირველი პური, რომელიც უბარათოდ ავიღეთ.

ეს იყო დიდიხნის წინათ.

დღეს ჩვენ ვდგებით დილის ბინდბუნდში და დიდი საქმეებისაკენ მივეშურებით: სადაც არ უნდა ვიყოთ, გვწამს სამშობლოს ხარაჩოებზე ვართ ასული, ჩვენს წილ აგურს ვდებთ მის მშენებლობაზე.

ზოგჯერ განვლილ გზას გადავხედავ და გული მწყდება: მეგობარო, შენ იქ დარჩი, ვერ აგვიბი მხარი ახალ გზაზე გასულთ. ეს, ალბათ, ჩემი ბრალიცაა. სათქმელი დროზე ვერ გითხარ, მომერიდა.

დღეს შენ ოჯახში ტრიალებ. ეს საამაყოა—დიასახლისი ოჯახის დედაა, მისი დედაბოძი. მაგრამ შესძელი კი ბოძად შესდგომოდი შენს ოჯახს?

შენი ნათელი ოთახები სავსეა ნივთებით, შენი კარადები სავსეა წიგნებით. მაგრამ შენთან მოსულს მაინც გარეთ გასვლა მენატრება, მე მახრჩობს შენი სიმყუდროვე. გადახედე შენს მინის კარადებს. რამდენი ძვირფასი, მაგრამ უსარგებლო ნივთი აწყვია იქ: ბროლის, ფაიფურის უგემოვნოდ ნაკეთები ფიგურები, სიფრიფანა ჭურჭელი, რომლისთვის, ალბათ, ბევრი რამ დააკელ ოჯახს და მაინც შეიძინე, შეიძინე რომ გამოგეფინა.

შენ ამგვარად სჯი: რაც ჩემს ბავშვობას დააკლდა, ჩემს ერთა შვილს ავუნაზღაურებო. და შვილიც თოჯინასავით გამოწყობილი დაგყავს, აძალებ კერძებს ისე, რომ ჭამა შეაზიზღე. მერე კი ახლობლებს შესჩივი, რომ განერვიულდა, გაკერპდა ბავშვი, რომ არაფერს პირს არ აკარებს. დღეს შენმა პატარა შვილმა იცის, რომ ოჯახში მისი სიტყვა კანონია. დედა ხარ და შვილი გიყვარს. ამაში, აბა, ვინ გაგამტყუნებს. მაგრამ განა მხოლოდ ნეილონის ბაბთები, ნაირნაირი, ასაკისათვის შეუფერებლად ძვირფასი ტანსაცმელი ნიშნავს სიყვარულს? განა ჩვენს დედებს ნაკლებად ვუყვარდით, როდესაც ჩითის კაბებს გვიკერავდნენ? განა ჩვენს დედებს ნაკლებად ვუყვარდით, როდესაც მკაცრად დაგვტუქსავდნენ დანაშაულისათვის? შენი გოგონა კი უცხო ფარშავანგივით მოსჩანს ტოლთა შორის.

წიგნები?—ოჰ, რამდენი წიგნი აწყვია შენს კარადაში. მშვენიერი ყდებით, გემოვნებით გამოცემული. ზოგჯერ შენგან თხოულობენ ხოლმე წიგნს. შენ გიჭირს მათი განათხოვრება, გინდა ასე ახალთახალი გეწყოს იგი კარადაში, როგორც მშვენიერი ნივთი. თავის დროსა და თავის ადგილზე გეამაყება კიდეც, როდესაც აღნიშნავ—ამა და ამ მწერლის თხზულებათა სრული კრებული შევიძინეო. თუმცა, ვეჭვობ, რომ დიდიხანია ის წიგნები აღარ გადაგიფურცლავს... მე შენს მაგივრად შემრცხვა, როდესაც ალექსეი ტოლსტოის რომანს ლევ ტოლსტოის თხზულებებში ეძებდი.

... მარტის მზიანი დღეა. ხმაურობს, იცინის ქალაქის ქუჩები. ახალგაზრდებს ხელები აუვსიათ პირველი იებით, ენძელებით, თვალები სავსეა სიხარულით, იმედებით. მათთვის ახლა იხსნება ცხოვრების დიდი გზა: ზოგი ექიმის თეთრ ხალათს გადაიცვამს, ზოგი დაზგასთან დახრის თავს, ზოგი ტრაქტორების გუგუნს გაჰყვება მინდვრად, ზოგი კი ოჯახს დაუტრიალდება, დედა-ბოძად შეუდგება მას... დავლოცოთ ისინი. მარად გვეამაყებოდეს მათი კარგი ქალობა! შენ კი? მაინც გულისტკივილით მივდივარ შენგან მარტის ამ მშვენიერ დღეს.

**ნაზი კილასონია**

# ელექტრო-ინჟინერი



ამბობენ, ქართულ შაქარს საქართველოს მზის სითბო და სიტკბო აქვსო. ბევრმა, ალბათ, არც კი იცის საიდან მოდის ეს ტკბილი ქართული შაქარი—აგარის შაქრის კომბინატში მშრომელი ადამიანები ქმნიან ამ დოვლათს, მათ შორის არის ელექტროინჟინერი თამარ ქვრივიშვილი, საშუალო ტანის, შავგვრემანი, ოდნავ სევდიანი თვალებით, მაგრამ საქმეში ხალისიანი. მას შემდეგ, რაც მან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა 12 წელია. ამ ხნის განმავლობაში ტექნიკა უჩვეულო ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ. თამარი იბრძვის ამ ახლის დანერგვისათვის. 1949 წელს მან აგარის შაქრის ქარხანაში ჩაიბარა ელექტროსაამქრო და დღემდე ენერგიულად მუშაობს. აქ მოხდა მისი, როგორც ნამდვილი ინჟინრის, ნათლობა.

მაშინ ქარხნის დირექტორთან, ალექსანდრე ნანეიშვილთან გამოცხადებული ახალბედა ინჟინერი მორცხვად გამოიყურებოდა, ნერვიულობდა, პირველ ხანებში ინსტიტუტში მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკას ვერ უთავსებდა. მაგრამ კეთილმა ადამიანებმა ეს მას როდი აგრძნობინეს. ისინი ხედავდნენ, რომ თამარი ადამიანებს არ გაურბოდა, ყველასგან კი იღებდა საქმიან შენიშვნებს.

... დიდი სამამულო ომი ახალი დამთავრებული იყო, ქვეყანას ჭრილობები უცბად როდი უშუშდებოდა. შაქრის ქარხანაში ელექტროენერგიას იძლეოდა გენერატორი, ხოლო ქარხნის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების დროს ელექტროენერგიას იღებდნენ პატარა ელექტროსადგურიდან, რომელიც 40 პროცენტითაც ვერ აკმაყოფილებდა საწარმოს მოთხოვნილებას. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ელექტროენერგია რაიმე მიზეზით გამოირთვებოდა. იძულებული იყვნენ საკმარისი რაოდენობის დენის მისაღებად დამატებით აემუშავებინათ 30-ცხენისძალიანი დანადგარი. აგარელი მონტიორები, თამარის მეთაურობით, ყველა ღონისძიებას ატარებდნენ, რათა დენი ნორმალურად მიეწოდებინათ საწარმოსათვის, მუშაობა არ შეფერხებულიყო.

წლითი-წლობით იზრდება აგარის შაქრის კომბინატში ელექტროენერგიის სიმძლავრე და მისი გამოყენება. დღეს მთელი პროცესი, შაქრის ჭარხლის მოტანიდან მისი პროდუქციის გამოშვებამდე, ელექტროფიცირებულია.

თამარ ქვრივიშვილი ყოველი წვრილმანი საქმის უშუალო მონაწილეა. ყველაფერს—უბრალო ელექტროილაკიდან დიდ აგრეგატამდე—მისი თითები ეხება. თამარის ინიციატივით მოხდა კომბინატის ელექტროსადგურის „საქენერგოს" სისტემასთან პარალელური ჩართვა, რამაც მოსპო შეფერხებები მუშაობაში.

არის შემთხვევა დენი გამოირთვება, მაშინ თამარის კაბინეტში წკრიალებს ტელეფონი. კომბინატის 12 საამქროდან ერთი და იგივე შეკითხვები მეორდება, მაგრამ თამარი ყველას ამშვიდებს და დამაჯერებლად ეუბნება: ენერგიას ჩქარა მიიღებთო. და მართლაც რამდენიმე წუთში ჩართულია დენი.

შაქრის კომბინატში 15 კილომეტრამდე საკაბელო ქსელია. გამტარებს შორის 200 აგრეგატია ბრუნვაში. კომბინატის ტერიტორიაზე 150-ნომრიანი ავტომატური ტელეფონის სადგურია. საამქროებში—ელექტრო-საათები, რადიო, განათება, ყოველივე ეს ელექტროსაამქროს განკარგულებაშია, რომელსაც მომსახურებას უწევს 30 მუშაკი.

თამარს ასწავლიდნენ, ახლა კი თვითონ ასწავლის სხვებს. მისი მზრუნველობით დაოსტატდნენ ელექტრომონტიორები: გ. გოგოლაძე, მ. მახარობლიძე, შ. მესხიძე, ლ. ბურჯანაძე, ს. სხირტლაძე და სხვები.

აგარის შაქრის კომბინატის კოლექტივი იბრძვის მაღალხარისხოვანი პროდუქციისათვის, თამარ ქვრივიშვილი ამ კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე წევრია.

**დ. მურმანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ციმბირელი პაპის" მეუღლე

გული სიამაყით გევსება, როცა ეცნობი სამოქალაქო ომის ისტორიას. იგი აღსავსეა ჩვენი ხალხის საგმირო საქმეებით, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგანწირვის მაგალითებით. გიხარია, როცა გაიგებ, რომ ამ ომის თითქმის ყოველ მნიშვნელოვან უბანზე გმირობით თავი უსახელებია ქართველებსაც. ერთი მრავალთაგანია «ციმბირელი პაპა» ნესტორ კალანდარიშვილი და მისი მეუღლე ქრისტინე. მათს საგმირო საქმეებზეა მოთხრობილი პარტიზანული ესკადრონის ყოფილი მეთაურის, ძველი ბოლშევიკის, ამჟამად პერსონალური პენსიონერის მიხეილ წერეთლის მოგონებებში. ვბეჭდავთ ნაწყვეტს ამ მოგონებებიდან.

სამოქალაქო ომის დროს, მკაცრი პარტიზანული ბრძოლების დღეებში, მე მინახავს ქალები, რომლებიც თავიანთ ქმრებთან, ძმებთან და მამებთან ერთად მტკიცედ და მხნედ იტანდნენ სალაშქრო ცხოვრების სიძნელეებს, მინახავს ისინი ციმბირში, ბოლშევიკურ იატაკქვეშეთში რომ მუშაობდნენ ირკუტსკში, ჩერემხოვოში, ზაბიტუისში, ინოკენტიევსკაიასა და ციმბირის სხვა დასახლებულ პუნქტებში. ბევრი ქალი მამაკაცებთან ერთად იტანდა სალაშქრო ცხოვრების სიძნელეებს. მათ რიცხვში იყო ქრისტინე ლეონტის ასული ლეონტი—სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირის, პარტიზანული რაზმის მეთაურის, „ციმბირელი პაპის" ნესტორ კალანდარიშვილის მეუღლე.

ძნელია სიტყვით გადმოიცეს ის წამება და გაჭირვება, რაც გადაიტანა ქრისტინე ლეონტის ასულმა ჟანდარმებისა და პოლიციელებისაგან. ციმბირში ჩაება იგი აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში, იქ გაეცნო ნესტორ კალანდარიშვილსაც. ნესტორისაგან იღებდა იგი დავალებებს, რომლებსაც ყოველთვის პირნათლად ასრულებდა.

სიხარულით შეხვდა იგი მეფის ტახტის დამხობას, მაგრამ თებერვლის რევოლუციამ ხალხს ვერ მოუტანა ის თავისუფლება და ბედნიერება, რომელსაც იგი მოელოდა და ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა. ქრისტინე ნესტორთან ერთად ამხელდა ირკუტსკის საბჭოში მოკალათებული მენშევიკებისა და ესერების გამცემლობას.

ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან ნესტორი და ქრისტინე ბოლშევიკებს მიემხრნენ, მათთან ერთად დაიწყეს ბრძოლა პროლეტარული რევოლუციის მტრების წინააღმდეგ. ოჯახის საქმეებით, სამი ბავშვის მოვლით დატვირთული ქრისტინე მაინც პოულობდა დროს, რომ მუშა ქალებთან ესაუბრა ოქტომბრის რევოლუციის მნიშვნელობაზე, ბოლშევიკებზე, ლენინზე, გაევრცელებინა გლეხებში ბოლშევიკური გაზეთები და ბროშურები.

1917 წელს, დეკემბრის ქუჩის ბრძოლების დროს, ირკუტსკში ქრისტინე სხვა წითელგვარდიელთა ცოლებთან ერთად სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილებს, ზრუნავდა დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებსა და ბავშვებზე.

1917 წლის ზაფხულში წითელი გვარდია იძულებული იყო დაეტოვებინა ქალაქი. ირკუტსკის რევკომმა მიიღო გადაწყვეტილება—მოეხდინა პარტიული და საბჭოთა მუშაკების და წითელი გვარდიის რაზმების მეთაურთა ოჯახების ევაკუაცია. ისინი გადაიყვანეს ბაიკალის გადაღმა სოფლებში, შორს საბრძოლო რაიონებიდან.

ქრისტინემ თავისი პატარა ბავშვებით თავი შეაფარა სოფელ მოლოდიხს, მაგრამ ნესტორის ოჯახმა ვერც აქ შეძლო დამშვიდებით ცხოვრება. მალე, ბაიკალის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, ამ რაიონს თეთრგვარდიელები მოაწყდნენ. დაიწყო ჩხრეკა. ბევრჯერ გამოიძახეს ქრისტინე დასაკითხავად თეთრგვარდიელთა კონტრდაზვერვაში, მაგრამ ქრისტინეს შველოდა ის, რომ დოკუმენტებში სხვა გვარზე იყო გაფორმებული; ხოლო სოფელში, გარდა სახლის პატრონისა, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა, არავინ იცოდა, რომ იგი ნესტორის მეუღლე იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქრისტინემ ნესტორისაგან მიიღო დავალება—კავშირი დაემყარებინა ირკუტსკის იატაკქვეშა ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან. ამ დავალების შესასრულებლად ქრისტინე ირკუტსკში დაბრუნდა და ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში დაბინავდა. მაგრამ კოლჩაკელთა კონტრდაზვერვამ მიაგნო მას და იგი დააპატიმრეს. თუმცა თეთრგვარდიელებმა მაინც ვერ შეძლეს იმის გაგება, რომ ქრისტინე ნესტორ კალანდარიშვილის ცოლი იყო და იძულებული გახდნენ გაენთავისუფლებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრდაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ქრისტინე მაინც არ წყვეტდა კავშირს პარტიზანებთან, თავისი ქმრის რაზმთან. ნესტორის დავალებით მან კავშირი დაამყარა ქალაქის იატაკქვეშა ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, სადგურების—ირკუტსკისა დ ინოკენტიევსკაიას რკინიგზის დეპოების მუშებთან, მათგან იღებდა ცნობებს ქრისტინე რკინიგზაზე ინტერვენტებისა და კოლჩაკელთა ჯარების მოძრაობის შესახებ და მეკავშირეთა საშუალებით გადასცემდა მ ცნობებს პარტიზანულ რაზმს.

განსაკუთრებით ძვირფასი ცნობები გადასცა ქრისტინემ 1920 წელს, ინტერვენტებისა და კოლჩაკელთა წინააღმდეგ ირკუტსკელი მუშების შეიარაღებული აჯანყების მზადების პერიოდში. დაზვერვის ყველა ცნობასა და იატაკქვეშა რევკომის დავალებებს ქრისტინე გადასცემდა რაზმს პარტიზან გრიგოლ ბელკოვის, პლატონ კალანდარიშვილისა და იასონ სულაქველიძის საშუალებით.

ერთხელ, იატაკქვეშა ორგანიზაციის დავალებით, ქრისტინე უნდა წასულიყო სადგურ ინოკენტიევსკაიაში, მოეძებნა იქ რაზმის მეკავშირე და გადაეცა დირექტიული წერილი „პაპისათვის".

ქრისტინემ ჩაიცვა მათხოვრის ტანსაცმელი და ძუძუთა ბავშვით გაემართა სადგურ ინოკენტიევსკაიასაკენ. ორი დღე და ღამე დახეტიალობდა იგი ქალაქსა და რკინიგზის სადგურში, რომ შეხვედროდა მეკავშირეს. მხოლოდ მესამე დღეს შეხვდა იგი გრიგოლ ბელკოვს და შეუმჩნევლად გადასცა წერილი.

მძიმე არალეგალური საქმიანობა, სოფლებში ხეტიალი, ბავშვიან ქალზე, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებდა. ერთ-ერთი საპასუხისმგებლო დავალების შესრულებისას ქრისტინემ ვერ დაიცვა შვილი გაციებისაგან. ბავშვი ავად გახდა და გარდაიცვალა.

გავიდა წლები... პარტიამ და მთავრობამ დააფასა ქრისტინე კალანდარიშვილის ღვაწლი.

სამოქალაქო ომის სახელგანთქმული გმირის ნესტორ კალანდარიშვილის მებრძოლი მეგობარი ქრისტინე ლეონტის ასული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავის ქალიშვილებთან ერთად ცხოვრობდა ირკუტსკში და იღებდა პერსონალურ პენსიას. უკვე ღრმად მოხუცებული, ამას წინათ გარდაიცვალა და დასაფლავებულია იქვე.

ქრისტინე ლეონტის ასულისა და ნესტორ ალექსანდრეს ძე კალანდარიშვილების ცხოვრება, მათი თავდადებული ბრძოლა, სამშობლოსადმი, ხალხისადმი, ლენინის დიადი პარტიისადმი უანგარო სამსახურის საუკეთესო მაგალითია.

**მიხეილ წერეთელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრა ჩხენკელი

# პირველი კრება

მწერალმა ალექსანდრა ჩხენკელმა ახლახან დაამთავრა მუშაობა წიგნზე: „გურული ქრონიკები“. ეს ნაწარმოები მოგვითხრობს მენშევიკური მთავრობის არსებობის მიწურულსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებზე. ვბეჭდავთ ნაწყვეტს თავიდან „პირველი კრება“.

* * *

ხალხში ნიავივით ჩაისრიალა სიხარულმა. ტაში, შეძახილები რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მოხუცმა ორატორმა ყაბალახის ყურით მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლი და ტრიბუნიდან ძირს ჩამოვიდა. მის ადგილას ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, ჯეირანივით მოხდენილი და თვალმაისა. ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. ასი თვალი ერთდროულად მიაჩერდა მას.

— შეხედე, შეხედე!.. ჰო, შენ კი დაგეყარა მიწა! ბალშევიკი არ ყოფილა ეს შეჩვენებული?—გადაულაპარაკა ერთმა ქალმა მეორეს.

— რავა, არ იცოდი, შე ქალო, თუ? კრებები რომ იმართებოდა მაგის სახლში, აბა, რა იყო იგი?—ჩაერია ლაპარაკში ბუქუტი...

— რაღა უჭირს! „დასარჩობელი თეოფილე“ ქე მოურჩა და... აწი გაშლის ფრთებს!—დაასკვნა შურითა და დაცინვით მოსაუბრემ.

— რას ამბობ, ქალო! თეოფილეს რა მოარჩენდა? ორივე ფეხი მოწყვეტილი აქვს!

— აი, თუ არა!—უპასუხა მეზობელმა და თითი ჭადრისკენ გაიშვირა, რომელსაც თეოფილე მიყრდნობოდა.

— ი, შენ კი დაგწყევლის ღმერთი! ეშმაკის სული არ უდგას ამ შეჩვენებულს?.. ერთი კვირის წინ სული სძვრებოდა, ახლა კი ფეხზე ამდგარა...

— ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს, ჯვარი აქაურობას!—აბუტბუტდა ხნიერი ქალი, რომელიც ამდენხანს ჩუმად უსმენდა ამ საუბარს.

— რას ნიშნავს სიხარული! დავარდნილი თეოფილეც კი წამომდგარა!—ეუბნებოდა მასწავლებელი კოწია სოფლის ფერშალს დიომიდე ბურძგლას.

— თეოფილე ამდენხანსაც უნდა ამდგარიყო. მაგას ხომ ორგანული არაფერი ჰქონდა? ამას წინათ, ექიმმა ერისთავმა გურიის სოფლები რომ შემოიარა, მაშინ მითხრა: «მაგას მელანქოლია აქვს, ფსიქოზი. ან დიდი სიხარული უნდა შეხვდეს, ან დიდი საწყენი, ისე ვერავითარი ძალა ვერ წამოაყენებს ლოგინიდანო“.

— შენის აზრით, რა ძალამ წამოაყენა ახლა თეოფილე?

— მე მგონია დიდმა სიხ...—სიტყვა ვერ დაამთავრა დიომიდემ,—ტრიბუნაზე მდგომ ათინოს ხალხი აღტაცებით უკრავდა ტაშს, თვითონ დიომიდემაც შემოკრა თავისი სქელი, ფუნთუშა ხელები აღტაცებით. ათინო კი იდგა ტრიბუნაზე და სახეზე ალმური ასდიოდა.

„რა თქვას ახლა მან?.. საიდან დაიწყოს?“ თავის სიცოცხლეში ამდენი ხალხი არ უნახავს, თავის დღეში ამდენი მიჩერებული თვალი არ უგრძვნია. მერე როგორ შესცქერიან: ზოგი თუ აღტაცებითა და სიხარულით, ზოგი კიდევ—მქირდავად: „ვინ ქალი და ვინ ტრიბუნიდან „რეჩის თქმაო“,—ეუბნებიან თითქოს.

თეოფილეც აი იქ, ჭადრის ხეს რომ მიყრდნობია, ფართო, ღია თვალებით შეჰყურებს ტრიბუნაზე მდგომ ცოლს. იმ თვალების ცეცხლი სწვდება და წვავს ათინოს. რა უცნაურია მაინც იმ ჭადრის ხის წარსული. თითქოს თეოფილე და ის ჭადრის ხე დიდი ხნის დაკარგული მეგობრები იყვნენ და დღეს იპოვეს ერთმანეთი.

... ეს იყო თექვსმეტი წლის წინათ. ნორჩ ჭადრის ხეზე ჯიბის დანით ამოეჭრათ ორი ასო: ს. კ. რაც სახალხო კრებას ნიშნავდა.

ყოველ საღამოს, როცა სოფელში ბინდი ჩამოწვებოდა, სოფლის მშრომელი მოსახლეობა ამ ჭადრის ხის ძირში იყრიდა თავს „ერთობის“ საკითხის გასარჩევად.

რეაქციის შავრაზმულ ძალებს შეუმჩნეველი არ დარჩათ ხეზე ამოჭრილი ორი ასო და, როდესაც გამხეცებულმა ალიხანოვის რაზმელებმა ხეს ძირში მოჭრა დაუპირეს, თეოფილე შევარდნაძე, ჯერ ისევ ახალგაზრდა, პირტიტველა ჭაბუკი, წინ გადაეღობა ყაზახებს და დამტვრეული რუსულით აუხსნა: ეს ორი ასო „სახალხო კრებას“ კი არ ნიშნავს, არამედ ჩვენი რაიონის „ზემლემერის“ (მიწის მზომელის) სამსონ კლიმიაშვილის სახელისა და გვარის აღმნიშვნელიაო. ამის შემდეგ რაზმელებმა ჭადრის ხეს თავი დაანებეს და სოფელს მოედვნენ რევოლუციონერების საძებნელად. მას შემდეგ რამდენი წელი გავიდა! ჭადრის ხე გაიზარდა, დავაჟკაცდა თეოფილეც...

„ჰაუ, რამდენი ვართ!“—ფიქრობს ათინო და დაბნეული შესცქერის ზღვა ხალხს. მერე როგორც იყო სული მოითქვა და ხმა ამოიღო:

— ქალებო!..—დაიწყო მან და საკუთარი ხმა ისე ჩაესმა ყურში, თითქოს ვიღაც სხვა ლაპარაკობდა მის ზურგთან.—ქალებო!—გაიმეორა,—საქმე ისე წავიდა, რომ იტყვიან...—ათინო შეჩერდა და წინ ჩამოყრილი ნაწნავები უკან გადაიყარა.—ქალებო, ხომ ხედავთ მენშევიკური მთავრობა დაემხო. საქართველო გაძარცულია, ხალხი გაძვალტყავებული. მოვლა უნდა ქვეყანას, მოსულიერება.

— ჰო, ჰო, მართალია, მართალი!—მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— ახლა, ქალებო, ჩვენც ხალხი ვართ, ჩვენც ადამიანები, მამაკაცის თანასწორი,—თქვა ათინომ და ჭადრის ხეზე მიყრდნობილ თეოფილეს შეხედა, რომლის თვალები ცეცხლს აკვესებდა.

— შენი დამბლა დაცემული ქმრის თანასწორი კი ხარ, აბა, არა?..—წამოიძახა ვიღაცამ ხალხში. ყველამ იქითკენ მიიხედა, ყარამანი იყო.

— სიწყნარე, თუ შეიძლება!—მიაძახეს ხალხიდან.

თავმჯდომარემ ზარი ააწკრიალა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ქალებო,—მოიბრუნა სული ისევ ათინომ,—ქალებო, იმას ვამბობდი, რომ ვიმუშაოთ, ამოვუდგეთ მამაკაცებს გვერდში, თორემ,—...ათინოს ისევ გაუწყდა სიტყვა, ისევ თეოფილეს თვალებს წააწყდა.

— დიახ, ქალებო... ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ მამაკაცებთან ერთად ხელიხელჩაკიდებულებმა და ქვეყანა ფეხზე დავაყენოთ, თორემ...—„თორემ რა?“... შეეკითხა იგი თავის თავს. რა თქვას კიდევ ათინომ, არ იცის... ღელავს,—თორემ საქმე რომ წახდეს, ჩემი ბრალი არ იყოს,—დაასრულა ძლივს სიტყვა და სული ამოითქვა.

— ვითომ, საქმე რომ წახდეს, ათინოს დააბრალებენ?..—გააქილიკა ნიფოლიამ და მაგნოლიას შეხედა.

— გაუმარჯოს ჩვენს ახალ მთავრობას, ბოლშევიკურ პარტიას, რომელმაც ქალი მამაკაცის თანასწორი გახადა. გაუმარჯოს ჩვენს ბელადს—ლენინს!

სიხარულმა მზის სხივებივით გადაურბინა ხალხს.

— გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების კავშირს!

— დათვი რომ მოგერიოს, ბაბა დაუძახეო.—აბურდღულდა ისევ ყარამანი და სახლისკენ გაუყვა.

ჯერ ტაში არ დამცხრალიყო, რომ ტრიბუნაზე ილიკო მასწავლებელი გამოჩნდა.

— მასწავლებელს მოვუსმინოთ, მასწავლებელს!—ახმაურდა ხალხი.

— გურიაში სწავლა-განათლების საქმე ნულამდე არის დასული,—დაიწყო თავისი სიტყვა ილიკომ,—ხალხს შვილების აღზრდისათვის არავითარი საშუალება არ მოეპოვება. დანგრეულია სკოლები და არავინ არის მისი შემკეთებელი, გაძვალტყავებულია მასწავლებლები, თვიური ხელფასით ერთ ფუთ სიმინდსაც ვერ იყიდიან. საჭიროა ამ მდგომარეობას დროზე წამალი გამოენახოს!

ილიკო ლაპარაკობდა მთელი გრძნობით, გატაცებით, შიგადაშიგ ციტატებიც მოყავდა ზეპირად ლენინის ტომებიდან.

კრება გვიან დაიშალა. ხალხი ბილიკებს დაადგა, ობობას ქსელივით რომ ჰქონდა დიდ მოედანს ირგვლივ შემოხლართული. მათთან წაიღეს ნაფიქრი და მოსმენილი, განცდილი და დანახული.

სოფელში დიდხანს ჰქონდათ სალაპარაკოდ „დასარჩობელი თეოფილეს“ უეცარი განკურნება, ქალის პირველი გამოსვლა ტრიბუნაზე, მოხუცი თომას მოწოდება და ყარამანის უადგილო, გაბოროტებული ბურდღული.

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ჩვენი საოჯახო კლუბი

დღეს რედაქცია გიწვევთ თქვენ, ახალბედა და გამოცდილო დიასახლისებო ჩვენს საოჯახო კლუბში.

ჩვენს კლუბში თქვენ არ ივლით. გესაუბრებით მხოლოდ ჟურნალის ფურცლებიდან.

რაზე?

რაც ყველა თქვენგანს აინტერესებს:

რატომ აკლია სიმყუდროვე ჩვენს ბინას,

როგორ გავხდეთ ყოვლისმცოდნე კულინარი,

რა არის გემოვნება და უგემოვნობა,

ხარ თუ არა თქვენ მზრუნველი მეუღლე

და დედა-მეგობარი?

რას ჰქვია ბავშვის სწორი აღზრდა,

როგორ გავიიოლოთ საოჯახო შრომა,

როგორ შევინარჩუნოთ მოქნილობა და სილამაზე.

... და კიდევ ათას წვრილმანზე, რომლებსაც უცებ ვერ გაიხსენებ და რომელთა არცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში საშინლად გვაწვალებს.

ასეთ რჩევებს ჩვენ ადრეც ვბეჭდავდით ჩვენს ჟურნალში. მაგრამ ამ წლიდან მათ უფრო სისტემატურ ხასიათს მივცემთ. ჩვენი პირველი გაკვეთილი დავბეჭდეთ მიმდინარე წლის იანვრის ნომერში: სტუმრის მიღების წესებზე, ახალშობილის მოვლის შესახებ, ბინის მოწყობის შესახებ.

მაგრამ საოჯახო კლუბის გახსნა მაინც დღეისთვის გადავდეთ.

ეს იყოს ჩვენი სამარტო საჩუქარი!

საკლავი საქონლის ხორცი სრულფასოვანი საკვები პროდუქტია. ის დიდი რაოდენობით შეიცავს ცილას, ცხიმს, მინერალურ მარილებს და აგრეთვე ექსტრაქტულ ნივთიერებებს, რომლებიც ხორცის ნაწარმს მატებს განსაკუთრებით კარგ გემოს და სურნელებას. ამ ნივთიერებათა აღმგზნებელი მოქმედება საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე ხელს უწყობს მადის მომატებას და აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ საჭმლის შეთვისებას.

საკლავი საქონლის სუბპროდუქტები (ენა, ტვინი, თირკმელები, თავ-ფეხი, ფაშვი და სხვა) მასაზრდოებელი ღირსების თვალსაზრისით სრულიად არ ჩამოუვარდება ხორცს. რაც შეეხება ვიტამინებს, მათი შემცველობით ზოგიერთი სუბპროდუქტი (მაგალითად, ღვიძლი) ხორცზე უფრო მაღლა დგას.

საკლავი საქონლის ხორცისაგან და სუბპროდუქტისაგან შეიძლება მოვამზადოთ ნოყიერი და გემრიელი სხვადასხვანაირი კერძი, მაგრამ ამისათვის აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ხორცის რა ნაწილი უნდა შევარჩიოთ ამა თუ იმ კერძის დასამზადებლად.

ნაკლავის ერთი ნაწილი ნაზია, რბილია და ძირითადად შესაწვავად და დასაბუღად გამოდგება, ხარშვისას კი ნაკლებ ხარისხის ბულიონს იძლევა. ნაკლავის სხვა ნაწილები უფრო უხეში ქსოვილებისაგან შედგება და საუცხოო ნახარშს იძლევა, შესაწვავად კი არ გამოდგება.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ნაკლავის ცუდი ნაწილი, არსებობს მხოლოდ მისი არასწორი გამოყენება. აი, მაგალითად, ნაკლავის ყველაზე ძვირფასი ნაწილი —სუკი არ ვარგა ლაბიანი კერძის, მაგალითად, „ხოლოდეცის" მოსამზადებლად, ხოლო ყველაზე უხეში ნაწილი—არტალა საუკეთესოა ამ კერძისათვის. არტალისაგან მზადდება აგრეთვე მაღალხარისხოვანი ბულიონი, მისი რბილი მოხარშული ნაწილისაგან—ფარში.

სუკის ნაპირიდან ამზადებენ ბევსტროგონსა და რომშტექსს, სუკის ამონაკვეთიდან კი—ბივშტექს. მთლიანი სუკი მწვადად შეიწვება, კარგია აგრეთვე მისი ბასტურმა. ჩალაღაჯის ამონაჭრის თავიდან ბივშტექსი მზადდება, ძვლიანი ნაწილიდან—მაღალხარისხოვანი სურნელოვანი სუპი, ბორში, ბულიონი, რბილი ნაწილიდან—საკატლეტე მასა და ა. შ.

ახალგაზრდა საქონლის ხორცი ღია წითელი ფერისაა, ცხიმი თეთრი აქვს, კუნთი რბილი და ნაზი. კარგად ნაკვებ ახალგაზრდა საქონელს აქვს ქონის კანქვეშა და შინაგანი დაგროვება, ნაკლავის უკანა ნაწილს განაკვეთზე ემჩნევა კუნთებშორისი განლაგება ცხიმისა (ძარღვების მაგვარად). ამ კუნთებშორის ცხიმოვან განლაგებას კულინარიაში «მარმარილოსებრს» უწოდებდნენ. ის ხასიათდება მაღალი კულინარული თვისებებით. ასეთი ხორციდან მომზადებულ კერძს აქვს კარგი გემო, ხარშვისას და შეწვისას ინარჩუნებს წვნიანობას.

ბებერი საქონლის ხორცი მუქი წითელი ფერისაა, მის ცხიმს ყვითელი ელფერი აქვს. ხორცის ქსოვილი მსხვილბოჭკოვანია და უხეში. ბებერი საქონლის ხორცს შეიძლება ჰქონდეს კანქვეშა და შინაგანი ცხიმოვანი დაგროვება, მაგრამ ცხიმის კუნთებშორისი განლაგება მას არ ახასიათებს.

# ხორცი

ხბოს ხორცი ღია ვარდისფერია, მონაცრისფერო ელფერით; ცხიმი აქვს თეთრი, მკვრივი. ხბოს ხორცს არა აქვს კანქვეშა და კუნთებშორისი ცხიმოვანი დაგროვება.

ცხვრის ხორცის ხარისხიანობის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ასაკს. ახალგაზრდა ცხვრის ხორცს აქვს შესანიშნავი გემო და კარგი კულინარული თვისებები. ბებერი ცხვრის ხორცი მაგარია და აქვს სპეციფიკური არასასიამოვნო სუნი.

ახალგაზრდა ცხვრის ხორცი ნაზია, რბილია, წვნიანია, ღია წითელი ფერისაა. მოზრდილი ცხვრის ხორცს მოვარდისფრო-წითელი ფერი აქვს, ბებერი ცხვრისას კი — მუქი წითელი.

ქონი ახალგაზრდა და მოზრდილი ცხვრისა თეთრია, ბებრისა — ღია ყვითელი ფერის.

ღორის ხორცს ღია ფერი აქვს — მოვარდისფრო წითელი. მისი კუნთოვანი ქსოვილი რბილი და ნაზია, კანქვეშა ცხიმი — ვარდისფერი ან თეთრი.

საერთოდ ხორცის ვარგისიანობის გამორკვევა შეიძლება როგორც გარეგანი შეხედულებით ისე ფერით, სუნით და კონსისტენციით.

კარგი ხარისხის ახალი ხორცი — შეგრილებული და გაციებული — წითელი ფერისაა, ხორცის კონსისტენცია მკვრივია, ჩაღრმავება, რომელიც წარმოიქმნება მის ზედაპირზე თითის დაჭერით, სწრაფად სწორდება.

გაყინული ხორცი მაგარია და დარტყმისას მკაფიო ხმას იძლევა. ის წითელია და ნაცრისფერი გადაჰკრავს. მის ზედაპირზე თითის



დაჭერით წარმოქმნილი ლაქა ღია წითელი ფერისაა. გაყინულ ხორცს არა აქვს სუნი. მხოლოდ გალღობის შემდეგ წარმოიქმნება ამ ხორცისათვის დამახასიათებელი სუნი. გაყინული ხორცი ერთხელ გარეცხეთ ცივ წყალში, შემდეგ მოათავსეთ თავდახურულ ჭურჭელში და დატოვეთ ასეთ მდგომარეობაში ორი-სამი საათით, რომ თანდათანობით გალღვეს. არაა რეკომენდებული ხორცის წყალში გალღობა, ანდა მისი მოთავსება თბილ ადგილას: ეს უარყოფითად მოქმედებს ხორცის ხარისხზე.

ხორცი იჭრება დიდრონ, საულუფე და



წვრილ ნაჭრებად. საულუფე ნაჭრები აუცილებლად ბოჭკოების განივად უნდა დაიჭრას, ასე უფრო ადვილად დაიღეჭება.

არსებობს ხორცის მოხარშვის ორი წესი — გააჩნია რა გვინდა დავამზადოთ უფრო ნოყიერი, წვნიანი კერძი თუ მოხარშული ხორცი. თუ გვსურს ნოყიერი სრულფასოვანი წვნიანის დამზადება, მაშინ ხორცი ძვლიანად უნდა მოვათავსოთ ცივწყლიან ქვაბში. თანდათანობითი გაცხელებით ხორციდან მთლიანად გამოიყოფა სასარგებლო ნივთიერებანი და წვნიანი კერძი გამოვა სურნელოვანი და ხარისხიანი.

თუ გვსურს, გემრიელი და წვნიანი მოხარშული ხორცი იყოს, მაშინ ის მოსახარშად მდუღარე წყალში უნდა მოვათავსოთ. მდუღარე წყალში ხორცის ზედაპირზე ცილის აჭრის ნიადაგზე წარმოიქმნება ქერქი, რომელიც ხელს უშლის ხორციდან ექსტრაქტული და ნოყიერი ნივთიერებების გამოყოფას. ამ შემთხვევაში ბულიონი ნაკლები ღირსებისა გამოდის. მაგარი ბულიონის მოსახარშად ხორცი ცივ წყალში უნდა მოვათავსოთ, წვრილად დაჭრილი ან დაკეპილი. ერთი ულუფა მაგარი ბულიონის მოსახარშად იღებენ სამ ჩაის ჭიქა ცივ წყალს. ხარშვისას დაახლოებით ერთი ჩაის ჭიქა სითხე აორთქლდება.

წვნიან კერძს ხარშვისას წყალი არ უნდა დაემატოს, თორემ გაუგემურდება. ხორცის ხარშვის დროს წარმოქმნილი ქაფი რამდენჯერმე უნდა მოიხადოს ქაფქირით ან კოვზით.

მარილი ხორცს დაემატება ერთი-ერთნახევარი საათის დუღილის შემდეგ; უფრო ადრე მისი ჩამატება იწვევს ბულიონის ამღვრევას, ზედმეტი ქაფის გამოყოფას და ხარშვის პროცესის შენელებას. ბულიონს ხარშვის დროს მოყენებული ზედმეტი ცხიმი უნდა მოვხადოთ და გამოვიყენოთ სხვა კერძის დამზადებისას. ხორცის ნახარში გამოიყენება ბულიონის, საწებლის ან რომელიმე საკაზმის მოსამზადებლად.

რომ გავიგოთ მოხარშულია თუ არა ხორცი, ამისათვის ის ჩანგლით უნდა ჩაჩხვლიტოთ; თუ ჩანგალი ხორცში ერთგვარი დაბრკოლებით ჩადის და ჩაჩხვლეტილ ადგილას გამოიყოფა მოწითალო ფერის წვენი, ეს ნიშნავს, რომ ხორცი ჯერ არ არის მოხარშული.

ზოგიერთი კერძის დამზადებისას ხორცი შეწვის წინ დაიბეგვება (რომ უფრო კარგად შეიწვას) და შემდეგ ამოივლება წმინდად გაცრილ ფქვილში, ორცხობილასა და გათქვეფილ კვერცხში. ორცხობილაში ამოვავლებთ წვრილფეხა საქონლისა და ძროხის ხორცის დაბეგვილ საულუფე ნაჭრებს, აგრეთვე დაკეპილი ხორცის ნაწარმს (გარდა გუფთისა, რომელიც ფქვილში ამოივლება).

ხორცის პროდუქტები ფქვილში და ორცხობილაში უშუალოდ შეწვის წინ უნდა ამოვავლოთ, უფრო ადრე კი მოვაყრით მარილს და პილპილს. მარილი, პილპილი და ორცხობილა რომ ხორცის ზედაპირზე კარგად დამაგრდეს, ხორცის ნაჭერი წინასწარ უნდა ამოვავლოთ წყალნარევ კვერცხში; თუ გვსურს ხორცის ზედაპირზე ორცხობილას უფრო სქელი ფენა მივიღოთ, ის ორჯერ უნდა ამოვავლოთ ორცხობილაში. თუ ხორცს პურის ფქვილში ვავლებთ, წინასწარ მისი კვერცხში დასველება არაა საჭირო.

ზოგჯერ საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად დასაბუღ ან შესაწვავ ხორცს დატენიან უმი ძირხვენეულით (ოხრახუში, ნიახური სტაფილო), ღორის ქონით — (სუთით) და ნივრით. დასატენად იხმარება ნემსი კუმშვადი მილძაბრით. ხორცში კეთდება ნახვრეტი, მილძაბრში თავსდება ძელაკისებურ ნაჭრებად დაჭრილი ძირხვენეული, ნიორი და ქონი და ნემსით შეიტანება ხორცში.

ხორცი შეწვის დროს ბევრ წყალს კარგავს, უმეტესად ორთქლის სახით და მასში დიდი რაოდენობით რჩება ექსტრაქტული ნივთიერებანი. ამიტომ შემწვარი ხორცი მოხარშულთან შედარებით უფრო გემრიელია, სურნელოვანი და კარგი კვებითი ღირებულება აქვს.

ხორცის შეწვის წესებზე ვისაუბროთ ჟურნალის შემდეგ ნომერში.

**თამარ სულაქველიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავეჯი

ავეჯის შერჩევა და ყიდვა არც ისე იოლი საქმეა. ეს გასაჭირი ყველა დიასახლისს გამოუცდია. მითუმეტეს, როცა ოჯახი ახალ ბინაში გადადის და სურთ ბინა ახალი ავეჯით დაამშვენონ.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი სააავეჯო მრეწველობა დიდ ვალშია მომხმარებლის წინაშე: ავეჯის მაღაზიები ნახევრად ცარიელია, გასაყიდად გამოტანილი ავეჯი ხშირად მოძველებული კონსტრუქციისა და მოუხერხებელიც. სწორედ ამიტომ ისიც, რაც იშოვება, წინასწარ ფიქრისა და შერჩევის შემდეგ უნდა შევიძინოთ.

თანამედროვე ბინების თავისებურებამ განსაზღვრა თანამედროვე ავეჯის სახეც. ახლადაგებულ სახლებში ოთახის სიმაღლე ბევრად ნაკლებია, ვიდრე ძველში. საზღვარგარეთ, ზოგიერთ ქვეყანაში, ოთახის ნორმალურ სიმაღლედ დადგენილია 2,4 მეტრი. ჩვენს ახალ ბინებში ჭერის საშუალო სიმაღლედ 2,7 მეტრს ვარაუდობენ.

აი, ამიტომ დადაბლდა და სიგანეში გაიზარდა ავეჯი, ამიტომ შეიცვალა ბუფეტი სერვანტით, ამის გამო გადავიდა მოდიდან მაღალზურგიანი დივანი და საწოლები.

როცა ბინას ვრთავთ, უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ავეჯმა არ უნდა დაიკავოს ოთახის ფართობის 40 პროცენტზე მეტი. ავეჯი უნდა იყოს მსუბუქი, რთული ჩუქურთმების გარეშე, სახმარად მოხერხებული, ადვილად გასაწმენდი და გასარეცხი.

ზოგჯერ მაღაზიებში იყიდება ავეჯის კომპლექტები—ეგრეთწოდებული გარნიტურები. ნუ იჩქარებთ მათ შეძენას. ამ კომპლექტებში შეიძლება თქვენთვის უვარგისი ნივთებიც იყოს. დაფიქრდით, ხომ არ დახროვდება ეს ავეჯი თქვენს ოთახში ისე, რომ ბინა ავეჯის მაღაზიას დაემსგავსება? გარდა ამისა, გარნიტურები ძვირიცაა. ასეთი კომპლექტები კი თქვენ თვითონაც შეგიძლიათ შეაგროვოთ: ჯერ, ვთქვათ, იყიდით მაგიდას, რამდენიმე ხნის შემდეგ შეხვდებით მის შესაფერ სკამებს; მერე—კარადას და ასე შემდეგ.

ახლა თვლიან, რომ ბინის მყუდროდ და კოხტად მოწყობისათვის სრულებით არ არის აუცილებელი, რომ თვითეული ნივთი იყოს ძვირფასი და ლამაზი. მთავარია ნივთები უხდებოდეს ბინას და ერთმანეთს. კარგად დამუშავებული ღია ფერის ხის იაფფასიანი ავეჯი, ასეთივე სადა მაგიდა და სკამები, ღია ფერის ფარდები და პატარა ლარნაკში ჩაწყობილი შროშანების თაიგული სიმყუდროვეს შექმნის ოთახში.



ნახ. 1

იმისათვის, რომ საგნები ეხამებოდნენ ერთმანეთს, არაა აუცილებელი ისინი ერთნაირი ხისაგან იყოს გაკეთებული, ან ერთნაირი ფორმა და ნახატი ჰქონდეს. საგნები, შეიძლება, ფერმაც გააერთიანოს.

ვთქვათ, თქვენს ოთახში დგას დაბალი ტახტი, სასადილო მაგიდა, რამდენიმე სკამი, ორი სავარძელი და ყველაფერი ეს სულ სხვადასხვა



ნახ. 2

ხის მასალისაგან არის გაკეთებული, არც ფორმა აკავშირებთ და არც სხვა რაიმე.

ვცადოთ, გავაერთიანოთ ისინი და შევქმნათ ანსამბლი. ვიყიდოთ ჩითი ან სხვა რომელიმე იაფფასიანი ქსოვილი ღია ფერისა, წვრილ ყვავილებიანი ან კუბოკრული. დივანს და სავარძლებს შევუკეროთ და გადავაკრათ ამ ქსოვილის საფარი (ჩიხოლი), მისივე ფარდები ჩამოვაფაროთ სარკმელს. და შემდეგ, თუ ოთახის კედლებსაც ამავე ქსოვილის ფონის ფერად შევღებავთ, მივიღებთ ანსამბლს, რომელიც შესანიშნავად გაალამაზებს ბინას.

ერთ ოთახიან ბინაში ჯობს საწოლი არ დავდგათ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასზე წამოწოლა არ შეიძლება და მეორეც, თუ ამ საწოლზე ღია ფერის გადასაფარებელია და ბალიშებიც აწყვია, მთელი ოთახი საძილე ოთახს ემსგავსება, მაშინ, როცა ის ამავე დროს სასადილოც არის, სასტუმროც და სამუშაოც.

საწოლი შეგვიძლია დივან-საწოლით ან სავარძელ-საწოლით შევცვალოთ, რომელზეც ღამე ლოგინს გაშლით, დღე კი ავკეცავთ. ძალიან მოხერხებულია კომბინირებული დივანი, რომელსაც აქვს თეთრეულის შესანახი ყუთები ან სპეციალური განჯინები, თარო ან პატარა მიდგმული მაგიდა ლამპისათვის. (ნახ. № 1).

ერთ ოთახიან ბინაში სასადილო მაგიდა ოთახის შუაში კი არა, კედელთან უნდა დავდგათ. ასე იგი ნაკლებ ადგილს დაიკავებს.

დიდრონი ავეჯი—დივანი, სერვანტი, საწერი მაგიდა მოპირდაპირე კედლების გასწვრივ არ უნდა ჩამოვამწკრივოთ—ეს ავიწროებს ოთახს.

ტუალეტისა და საწერი მაგიდა ისეთ ადგილზე უნდა დავდგათ, რომ შუქი მარცხნიდან ან წინიდან ეცემოდეს. ისე კი, კარგი იქნება საწერი მაგიდის კომბინირებული სეკრეტერით შეცვლა, ტუალეტის მაგიდისა—თეთრეულის დაბალი კარადით, რომლის ზემოთ, კედელზე მიმაგრებული იქნება სარკე.

სერვანტი ან ბუფეტი სასადილო მაგიდის ახლოს უნდა იდგეს. თუ ოჯახი მცირერიცხოვანია, 2-3 სულისაგან შედგება, ფართობის ეკონომიის თვალსაზრისით ძალიან მოხერხებულია სერვანტი გამოსაწევი მაგიდით (ნახ. № 2).

ამავე თვალსაზრისით იყენებენ აგრეთვე კედლისა წალოს (ნიში). ჩვეულებრივ, აქ ათავსებენ დიდრონ ავეჯს—დივანს, საწოლებს, კარადას. ზოგჯერ თვითონ წალოში აკეთებენ თაროებს წიგნებისათვის და ჩამოაფარებენ დეკორატიულ ფარდებს.

ალკოვი შესაძლებლობას იძლევა ცალკე გამოვყოთ ოთახიდან საწოლი ან კაბინეტი.

ბინის მოწყობისას დიდი მნიშვნელობა აქვს ოთახის ფორმას—მის სიგრძესა და სიგანეს. ჩვეულებრივ, უფრო მყუდროდ და მოხერხებულად ითვლება კვადრატული ან დაახლოებით კვადრატული ფორმის ოთახი. აქ უფრო იოლია ავეჯის განლაგება. მითუმეტეს, თუ ოთახს ფანჯრები ერთი მხრივ აქვს განლაგებული.

კვადრატულ ოთახში ავეჯს აწყობენ კედლების გასწვრივ და ათავისუფლებენ ოთახის შუაგულს. ზოგჯერ ერთი დანიშნულების ავეჯს ერთად, ჯგუფ-ჯგუფად განალაგებენ: ერთ კუთხეში დადგამენ საწერ მაგიდას, მოაწყობენ კედლის თაროებს ან წიგნის კარადას; მეორე კუთხეში—სერვანტს, სასადილო მაგიდას; მესამეში—დივანს, პატარა მაგიდას და ასე შემდეგ.



ნახ. 3

მაგრამ მოგრძო ოთახსაც გააჩნია თავისი უპირატესობა. აქ ავეჯს მოპირდაპირე კედლების გასწვრივ არ ჩავამწკრივებთ—ეს კიდევ უფრო გააგრძელებდა და დაავიწროებდა ოთახს. მაგრამ თუ მოგრძო ოთახში კედლის პერპენდიკულარულად ზურგიან დივანს ან დაბალ სერვანტს ჩავდგამთ, რომელსაც ზურგიდან სხვა ავეჯს მივადგამთ—პირით აქეთ, ამით ოთახს ორად გავყოფთ და ორივე ნახევარში ავეჯს ისე განვალაგებთ, როგორც კვადრატულ ოთახში. (იხ. ნახატი № 3).

მცირე ფართობიან ბინაში განსაკუთრებით მოხერხებულია ჩაშენებული ავეჯის გამოყენება.

# ჭრა-კერვის დაუსწრებელი სწავლება

## ბავშვის პიჟამო

### გაკვეთილი მერვე

თარგის შედგენა (ნახ. № 17)

ნახაზი თარგისათვის დგება ბავშვის წლოვანების მიხედვით. 1 წლამდე შემდეგი ზომებით:

1. ზედა ნაწილის (ჟაკეტის) სიგრძე—28 სმ,
2. სახელოს სიგრძე—22 სმ,
3. გულმკერდის წრეხაზი—56 სმ,
4. გულმკერდის სიგანე—24 სმ,
5. შარვლის სიგრძე—42 სმ,
6. წელის წრეხაზი—50 სმ,
7. თეძოს წრეხაზი—56 სმ,

ერთ წელზე უფროსი ბავშვებისათვის ზომები იცვლება. ყოველ წელზე ყველა ზომას ემატება 2 სანტიმეტრი, გარდა გულმკერდისა და თეძოს წრეხაზებისა (ამ ორ ზომას ემატება 4-4 სანტიმეტრი). პიჟამოს მოდელი სხვადასხვა სახისაა. პიჟამო იკერება ერთბორტიანი და ორბორტიანი, იკვრება ღილებზე. ბიჭის პიჟამოს შესაკრავი უკეთდება მარჯვნივ, გოგონას პიჟამოს კი—მარცხნივ, გადასაკეცი ან მრგვლად მოდებული საყელოთი.

სახელო შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე, ერთნაკერიანი. ჯიბე შეიძლება გარეთ დაეკეროს, შეიძლება ჩაიჭრას.

პიჟამოს ქსოვილი გოგონებისათვის უკეთესია ვარდისფერი იყოს, ბიჭისათვის—ზოლებიანი. ასეთივე წესით იკერება პიჟამო მოზრდილთათვისაც. პიჟამოს ზედა და ქვედა ნაწილის თარგს ვადგენთ ცალ-ცალკე.

პიჟამოს ზედა ნაწილის (ჟაკეტი) თარგის შესადგენად უნდა ავიღოთ შემდეგი ზომები:

1. გულმკერდის წრეხაზი—72 სმ,
2. კისრის წრეხაზი—33 სმ,
3. ბეჭების სიგანე—31 სმ,
4. გულმკერდის სიგანე—30 სმ,
5. მხრის სიგანე—11 სმ,
6. წელის სიგრძე—32 სმ,
7. პიჟამოს (ჟაკეტის) სიგრძე—48 სმ,
8. იღლიის წრეხაზი—32 სმ,
9. სახელოს სიგრძე—43 სმ,

უკანა ნაწილის თარგის შესადგენად ბეჭების სიგანეს მუდმივად ვყოფთ ორზე: 31:2=15,5

მიღებულ რიცხვს—15,5 გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ მთლიან სიგრძეს 48 სანტიმეტრს. იღლიის წრეხაზს ვყოფთ მუდმივად ორზე:

32:2=16

მიღებულ 16—ს ჩამოვზომავთ ა—წერტილიდან და გავავლებთ იღლიის დასაყენებელ ხაზს.

კისრის წრეხაზს გავყოფთ 6-ზე:

33:6=5,5

მიღებულ 5,5-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. წერტილ-5,5-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. წერტილ 1-ს ვუერთებთ წერტილ ა-ს მრუდი ხაზით.

მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად 15,5-დან ჩამოვზომავთ ქვევით 3 სანტიმეტრს. ზევით ავზომავთ 4 სანტიმეტრს და მარჯვნივ გადავზომავთ 3 სანტიმეტრს. წერტილებს 3-4-3-ს ვაერთებთ მრუდი ხაზით. სისრულისათვის 18,5—წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სანტიმეტრს, 3-დან ზევით ავზომავთ გვერდის გასასწორებლად 1 სანტიმეტრს. წერტილ-1-ს ვუერთებთ სახაზავით ქვედა 3 წერტილს.

წინა ნაწილის თარგის შესადგენად გულ-მკერდის სიგანეს მუდმივად ვყოფთ ორზე:

30:2=15

მიღებულ 15-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ პიჟამოს სიგრძეს—48 სანტიმეტრს. წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ 16 სანტიმეტრს და წელის სიგრძეს—32 სანტიმეტრს.

წინა მხარის სისრულისათვის გულმკერდის წრეხაზს ვყოფთ ორზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუმატებთ 3 სანტიმეტრს. შემდეგ ვაკლებთ უკანა მხარის ზომას—18,5 სანტიმეტრს:

72:2=36

36+3=39

39—18,5=20,5

მიღებულ 20,5-ს გადავზომავთ მარჯვნივ 16-და 48—წერტილებიდან. აღნიშნულ წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზით.

კისრის წრეხაზის ამოსაჭრელად წერტილ ა-დან ჩამოვზომავთ 5,5 სანტიმეტრს, გადავზომავთ მარჯვნივ 5,5 სანტიმეტრს. 5,5-დან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს. მხრისა და იღლიის ხაზის გამოსაყვანად წერტილ 15-დან ქვევით ჩამოვზომავთ 3 სანტიმეტრს, ზევით ავზომავთ 4 სანტიმეტრს. წერტილ 3-ს ვაერთებთ 4-თან და 20,5-ის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 3 სანტიმეტრს, წერტილ 3-დან ზევით ავზომავთ 1 სანტიმეტრს. წერტილ 1-ს ვუერთებთ სახაზავით წერტილ 20,5-ს.

ჯიბისათვის წელის ხაზიდან ჩამოვზომავთ ქვევით 3 სანტიმეტრს. 3-დან მარჯვნივ გადავზომავთ 6 სანტიმეტრს, მარცხნივ—3 სანტიმეტრს. შემდეგ 3-დან ქვევით ჩამოვზომავთ 9 სანტიმეტრს.

წინ გადასაკეცად 5,5 და 48 წერტილიდან გადავზომავთ მარცხნივ 3 სანტიმეტრს და წერტილებს ვაერთებთ სწორი ხაზით. სახელოსათვის იღლიის წრეხაზს—32 სანტიმეტრს გადავზომავთ ა-წერტილიდან მარჯვნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ სიგრძეს—43 სანტიმეტრს და ვადგენთ ოთხკუთხედს. იღლიის წრეხაზს გავყოფთ ორზე:

32:2=16

მიღებულ რიცხვს—16-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ და აღვნიშნავთ შუა წერტილს. აქედან ჩამოვუშვებთ სწორ ხაზს ბოლომდე. 16-ს გავყოფთ ორზე, მივუმატებთ 2 სანტიმეტრს:

16:2=8

8+2=10

მიღებულ 10-ს ჩამოვზომავთ ა—და 32—წერტილიდან. 10—წერტილებს შევაერთებთ სწორი ხაზით. წერტილ 16-დან მარჯვნივ და მარცხნივ გადავზომავთ 8-8-სანტიმეტრს, მარჯვენა 8-დან სახელოს უკანა მხარისათვის ჩამოვზომავთ 2 სანტიმეტრს, ხოლო სახელოს წინა მხარისათვის მარცხენა 8-დან, ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს. 2—წერტილებს ვაერთებთ 16—და 10—წერტილებთან მრუდი ხაზით.

საყელოს მეორე პირის დასადებად 43—წერტილიდან ზევით ავზომავთ 2 სანტიმეტრს. საყელოსათვის კისრის წრეხაზს გავყოფთ ორზე:

32:2=16

მიღებულ რიცხვს—16,5-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარჯვნივ, ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ 8 სანტიმეტრს, შემდეგ წერტილიდან ჩამოვზომავთ 2 სანტიმეტრს და 2-წერტილს ვუერთებთ წერტილ 16-ს სახაზავით. სიგრძის წერტილიდან მარჯვნივ გადავზომავთ 4 სანტიმეტრს, წერტილ 4-ს ვაერთებთ წერტილ 16-თან სახაზავით. წერტილ 8-დან ქვევით ჩამოვზომავთ 2 სანტიმეტრს და ვაერთებთ 4 წერტილთან სახაზავით.

## პიჟამოს შარვალი

### პიჟამოს შარვლის თარგის შედგენა

პიჟამოს თარგის შესადგენად ვიღებთ შემდეგ პირობით ზომებს:

1. თეძოს წრეხაზი—60 სმ
2. შარვლის სიგრძე—54 სმ

თარგს ვადგენთ შარვლის, 1/4 ნაწილისას.

თეძოს წრეხაზს ვყოფთ ოთხზე, ვუმატებთ 5 სანტიმეტრს.

60:4=15

15+5=20

მიღებულ რიცხვს—20-ს გადავზომავთ ა—წერტილიდან მარცხნივ. ა—წერტილიდან ჩამოვზომავთ ქვევით შარვლის სიგრძეს—54 სანტიმეტრს.

თეძოს წრეხაზის მეოთხედს, ე. ი. 15-ს ვუმატებთ 4 სანტიმეტრს

15+4=19

მიღებულ 19-ს ჩამოვზომავთ ა-და 20-წერტილებიდან ქვევით. წერტილებს 19-ს და 20-ს ვაერთებთ სახაზავით. უბის დასადგენად 15-ს გავყოფთ ორზე:

15:2=7,5

მიღებულ 7,5-ს გადავზომავთ წერტილ 19-დან მარჯვნივ, 7,5-ს ვუმატებთ 2 სანტიმეტრს:

7,5+2=9,5

მიღებულ 9,5-ს ავზომავთ ზევით წერტილი 19-დან.

### პიჟამოს გამოჭრისა და შეკერვის წესი

პიჟამოს ზედა ნაწილის უკანა მხარის გამოსაჭრელად ქსოვილს სიგრძეზე ვკეცავთ ორად, თარგს ვამაგრებთ ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, საყელოში და იღლიის წერტილებში—0,5 სანტიმეტრს, დაბლა შემოსაკეცად—2 სანტიმეტრს.

სიგრძის ხაზი წერტილ ა-დან 48-წერტილამდე გაუჭრელია, დანარჩენი იჭრება.

წინა მხარის გამოსაჭრელად ქსოვილს სიგრძეზე ვკეცავთ ორად, ვამაგრებთ თარგს ქინძისთავებით. ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, იღლიისა და საყელოს წერტილებში 0,5 სანტიმეტრს, დაბლა გადასაკეცად-2 სანტიმეტრს, წინ გადასაკეცად 3 სანტიმეტრს. იჭრება გარშემო.

სახელოსათვის ქსოვილს ვკეცავთ სიგრძეზე, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს. გაუჭრელი ხაზი არა აქვს.

საყელოს გამოსაჭრელად ქსოვილს ჯერ სიგრძეზე ვკეცავთ ორად, შემდეგ სიგანეზე—4-ად. ვამაგრებთ თარგს. ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს და ვჭრით. სიგრძის ხაზი წერტილ ზედა 2-დან ქვედა 2-მდე გაუჭრელია. დანარჩენი წერტილები იჭრება.

ჯიბისათვის ქსოვილს ვკეცავთ ორად. (გაუჭრელი ხაზი არა აქვს). ჯიბე და სახელო გაიწყობა ერთი სახის ქსოვილისაგან გამზადებული—3/3 სანტიმეტრის სიგრძის საპირით.

გარეკანის პირველ გვერდზე—მხატვრული თვითმოქმედების სოლისტი
გარეკანის მეოთხე გვერდზე—მეფრინველე
ფოტო ე. იგნატოვიჩის

გარეკანი დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

რედაქტორი თ. აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II-61 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75.
პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 45.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 198 უე 03054

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали",
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის პიჟამო










საყელო






ბიჭის პიჟამო




პიჟამოს შარვალი

### პიჟამოს შარვლის გამოჭრისა და შეკერვის წესი

პიჟამოს შარვლის გამოსაჭრელად ქსოვილს ჯერ ვკეცავთ ორად, შემდეგ სიგანეზე—ოთხად. ვამაგრებთ ქსოვილზე თარგს ქინძისთავებით, ვუმატებთ ნაკერისათვის თითო სანტიმეტრს, წელის ხაზზე გადასაკეცად—2 სანტიმეტრს, დაბლა გადასაკეცად—2 სანტიმეტრს და ვჭრით. სიგრძის ხაზი წერტილ ა-დან წერტილ 54-მდე გაუჭრელია, დანარჩენი იჭრება—ჯერ ვჭრით უკანა წელის ხაზს, ბოლოს ვკერავთ საერთო წესის მიხედვით. პიჟამოს დაბლა და წელის ხაზზე შეიძლება გავუყაროთ რეზინი, ან ზედით მივაკეროთ ქამარი და დაბლა კი ტოტს სხვა ფერის გადასაკეცი გავუკეთოთ

ავტორი—ტატიანა გურგენიძე,
კონსულტანტი—ივ. ტაბიძე.

ნ-93/93

ეროვნული ბიბლიოთეკა

